გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

№3 (9367) | 16 თებერვალი. 2022 წელი | ფასი 75 თეთრი

ცხარე დებატები, კონსენსუსი

2

მუნიციპალიტეტის მერი ტრადიციულ თათბირზე

2

6

მოდი ვნახოთ ნაშთი, როგორ განაწილდა ნაშთი?

2

3

სოფლის საშენებლად მესამე ხმა არ ეყოთ

ქართული ჟურნალისტიკა დაავადებულია ყველა იმ სენით, რაც, ზოგადად, საქართველოს შეჭყრია

4

„მოიზიდე და გაანადგურე"

სუბსიდიის ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადებზე

4

ვინ იწონებს და ვინ იწუნებს სკაბრეზის და უხამსობების კორიანტელს

8

7

"თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ დაკარგა ის ეშხი, რაც უნდა ჰქონდეს"

ცხარე დებატები, კონსენსუსი

ლევან ბაბეჩავა

რიგგარეშე სხდომა გამართა 1 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვაჟა სტურუა უძღვებოდა. ძირითადათ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტში მოქმედი ააიპ-ების 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, საკრებულოს შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე გახლდათ.

სასიამოვნოდ აღიქვა დარბაზმა გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თავკაცის, ელგუჯა კალაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში ქალაქის მწვანე საფარს ახალ ნერგებს შესძენენ.

საკრებულოს წევრმა აკაკი მინაშვილმა მადლობა გადაუხადა გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თავკაცს და აღნიშნა, რომ ის და მისი სამსახური მყისიერ რეაგირებას ახდენენ საჭიროების შემთხვევაშიო.

დროული იყო საკრებულოს წევრის, ჯონი ახობაძის წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა იმ პირთა მიმართ სანქციების რამდენადმე გამკაცრებას, რომელთა მოხეტიალე პირუტყვიც ქალაქს ანაგვიანებს, აფუჭებს ნარგავებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განიხილა საკრებულომ და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო.

ცხარე დებატები ვახსენეთ, 1 თებერვალს სხდომაზე იგი მას შემდეგ გაიმართა, რაც საუბარი ბენეფიციართათვის კვირაში რამდენიმე პურის დარიგების დროს და ადგილს შეეხებოდა.

ცნობისათვის, წლების მანძილზე პური მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე რიგდებოდა, არა ერთხელ დავწერეთ თხოვნის, გნებავთ კრიტიკის შემცველი წერილები გაზეთში იმის შესახებ, რომ მადლზე მადლი მიემატებიათ და პურის მოლოდინში ზამთრის ყინვასა და ზაფხულის ხვატში საათობით არ მდგარიყვნენ ბენეფიციარები.

ახალი 2022 წლიდან პურის დარიგება არ მოხდება ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე, მაგრამ, მაგრამ იქ სადაც ამჟამად ღებულობენ პურს ჩვენივე თანაქალაქელები, უწევთ თუ არა ისევ საათობით ლოდინი, ნამდვილად გვაინტერესებს.

დაბოლოს, ბენეფიციართათვის პირობების გაუმჯობესება ის იქნება თუ პური ერთსა და იმავე დროს მიუვათ თუ არა მერიაში მოუწევთ მათ ლოდინი, რკინიგზის განყოფილების, თუ ფილარმონიის წინ, არაფერი შეღავათია მათთვის.

ამჯერად მაინც მიგვიხვდებიან იმედია სათქმელს.

მოდი ვნახოთ ნაშთი, როგორ განაწილდა ნაშთი?

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომა არცთუ ისე უხვსაკითხიანი გახლდათ, მაგრამ დასმული კითხვებითა და გაცემული პასუხებით თუ ვიმსჯელებთ, საქმიანი ნამდვილად გახლდათ. დღის წესრიგის განხილვის შემდეგ პირველივე საკითხი, 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და რეკომენდაციების შემუშავების შესახებ, განსახილველად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძემ გამოიტანა. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 14203,0 ათასი ლარი გახლდათ. აქედან ადგილობრივი შემოსავლები 14013,0 ათასი ლარით განისაზღვრა. თორმეტი თვის განმავლობაში ბიუჯეტში ცხრაჯერ განხორციელებული ცვლილების შედეგად, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით, მისი მოცულობა 25848,0 ათასი ლარიამდე გაიზარდა. აქედან, საგადასახადო შემოსავლები 12704,9 ათას, სხვა შემოსულობები 2098,7 ათას, არაფინანსური აქტივების ზრდა კი 184,1 ათას ლარს შეადგენს. ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის ირიცხება 3501,3 ათასი ლარი,საიდანაც 748,1 ათასი ლარი 2018-2019-2020 წლების რეგიონული პროექტებიდან გადმოყოლილი შესრულებული სამუშაოების გარანტიისთვის დაკავებული, ასევე, დაუსრულებელი პროექტებისთვის გამოყოფილი თანხებია. ხოლო, 2753,2 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით დარჩენილი თანხა. აღნიშნული ნაშთიდან განაწილდა 2749,3 ათასი ლარი.

სწორედ ამ ნაშთით დაინტერესდა "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარე, ემზარ შუბლაძე. დარბაზში მსხდომ მერიის საფინანსო სამსახურის უფროსსა და ამ სამსახურის წარმომადგენელს მისი განაწილების ირგვლივ კითხვები დაუსვა. მათზე მიღებულმა პასუხებმა არა მხოლოდ ის, არც "ლელოს" წარმომადგენელი გივი ჯულაყიძე დააკმაყოფილა. ორივე ოპოზიციური პარტიის დეპუტატმა უფრო კომპეტენტური პასუხები მოითხოვეს იმის თაობაზე, თუ რატომ დარჩა, და რადგან დარჩა, როგორ განაწილდა ბიუჯეტში არსებული ნაშთი. "კონკრეტულად ვერ ამბობთ, სად და როგორ განაწილდა ეს ნაშთი. მიუხედავად იმისა, რომ მე არ გახლავართ ეკონომისტი, შესაბამისი განათლება არ სჭირდება იმას, რომ ზოგიერთი საკითხი ბუნდოვანი და დასაკონკრეტებელია. ეს პირველი შემთხვევა არ არის, ამგვარი კითხვები საფინანსო სამსახურის მიმართ ისმება უკვე არაერთი წელია და მათზე კომპეტენტურ, დასაბუთებულ პასუხს ვერ ვიღებთ! ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ, გაგვაგებინონ როგორ არის გაწერილი ბიუჯეტში არსებული ნაშთი. შარშან, შარშანწინ დაბრუნდა ეს თანხა, ვერ მოიხმარა მუნიციპალიტეტმა. წელსაც, დაახლოებით იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ხომ ამბობთ, დაკონკრეტებულ ციფრებს გაგაცნობთო, აი, ბატონო, ვერც მომდევნო სხდომებზე ვერ გექნებათ ამ საკითხის ირგვლივ დამაკმაყოფილებელი პასუხი". – განაცხადა ემზარ შუბლაძემ. მისი პათოსი გაიზიარა საკრებულოს დეპუტატმა "ლელოდან" გივი ჯულაყიძემ: "ჩემთვის მიუღებელია ის არგუმენტები, რასაც საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი აცხადებს. მიმაჩნია, რომ საფინანსო სამსახურის წარმომადგენლები ამ სხდომაზე მოუმზადებლები არიან მოსულები. ჩემი აზრით, ეს საკითხი უნდა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის უკეთ მოსამზადებლად და თუ მხარი იქნება დასაჭერი, ბუნებრივია, მხარს დავუჭერთ. ამ შემთხვევაში კი საკითხზე თანხმობას ვერ მოგცემთ. გარდა სამართლებრივი კუთხისა, იმ ქალაქში, სადაც ძალიან ბევრი რამ გასაკეთებელია, არ შეიძლება ბიუჯეტს თანხა რჩებოდეს და ვერ ითვისებდეს."

"მათ აქვთ კითხვების დასმის უფლება და ამ კითხვებზე ციფრებში გაწერილი პასუხები უნდა მიიღონ! მით უმეტეს, რომ ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, კითხვა ისმება და საფინანსო სამსახურისგან კომპეტენტურ პასუხს ვერ იღებენ დეპუტატები. საჭიროა ციფრებით გამყარებული პასუხები!" – ასეთი გახლდათ მუნიციპალიტეტის ყოფილი მერისა და ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვალერიანე ფოცხვერიას რეაქცია, უმრავლესობის მხრიდან ოპოზიციის მიერ დასმული კითხვების სანაცვლოდ წამოსულ გაღიზიანებაზე. იგი შეეცადა თავად ეპასუხა ზოგიერთი მათგანისთვის.

გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ცომაიამ რამდენიმე ინფრასტრუქტურულ საკითხზე ისაუბრა. ერთ-ერთი მათგანი მდინარე რიონზე არსებული ბორნის გამწვანების სამსახურზე გადაცემის თემა გახლდათ. ამ საკითხზე უფრო ვრცელ და დაწვრილებით მასალას, ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრაზე საუბრობდა, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა. გარდა ამისა, დამტკიცდა საკრებულოს წევრებისა და აპარატის მოსამსახურეებისთვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესი. რაც შეეხება ბოლო საკითხს, ფრაქციის "განვითარებული სამტრედია საქართველოსათვის" დაფუძნების თაობაზე მსურველებისთვის უარის თქმას, ამ თემაზეც უფრო ვრცლად ამავე ნომერში, საგაზეთო მასალაში ვისაუბრებთ.

მუნიციპალიტეტის მერი ტრადიციულ თათბირზე

ნინო ნანიტაშვილი

9 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ოთხშაბათის ტრადიციულ თათბირზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა,დავით ბახტაძემ მერის წარმომადგენლებთან მუშაობის პროცესში განსახორციელებელ სხვადასხვა საკითხებზე, საჭიროებებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელა. შეხვედრაზე განიხილეს შეხვედრაზე ითქვა, რომ დასრულებული, მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

ცალკეულ სოფლებში მერის წარმომადგენლებმა ადგილებზე შექმნილ პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობით მიიპყრეს მერის ყურადღება. ისაუბრეს კოვიდ სიტუაციაზე, რომელიც არანაკლებ შემაწუხებელია სოფლებში მოსახლეობისთვის. ითქვა, რომ მერის წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველგვარ დამხარებას უწევენ.

მკაცრი ზამთრის პირობებში რამდენიმე სოფელში დიდთოვლობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივებს. შეხვედრაზე ითქვა,რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დროულ და სათანადო ღონისძიებებს ატარებდა, რათა სოფლები დიდთოვლობას იზოლაციაში არ მოექცია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ ოთხშაბათის ტრადიციულ თათბირზე მერის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ის მზად არის, მოსახლეობას ნებისმიერი გასაჭირის დროს გვერდში დაუდგეს.

სოფლის საშენებლად მესამე ხმა არ ეყოთ

თეა ბაბუნაშვილი

ფრაქციის, "განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის", შესაქმნელად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა განცხადებით მიმართა. მაგრამ გივი ჯულაყიძის პოლიტიკური გაერთიანება "ლელო საქართველოსთვის", კობა ძიძიგურის "გახარია საქართველოსთვის" და დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ნიკოლეიშვილის ერთ ფრაქციაში გაერთიანების სურვილი, სურვილად დარჩა. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ვიდრე ისინი სასამართლოს არ მიმართავენ.

სანამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, მკითხველს უნდა ვამცნოთ – დავით ნიკოლეიშვილმა "ნაციონალური მოძრაობა" დატოვა. ეჭვი, რომ ეს არა პოლიტიკური შეხედულებებისა და გემოვნების შეცვლის, არამედ გარკვეული მოსაზრებების გამო გააკეთა, ეჭვგარეშეა! კომენტარზე უარი გვითხრა და სოციალური ქსელის მეშვეობით გვიპასუხა: "მიმართეთ პრესცენტრს! ახლა მოდაშია ეს სიტყვები." პრესცენტრის ამპლუაში "ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ვესაუბრეთ, რომელმაც ფაქტიც დაგვიდასტურა და ეჭვიც გაამართლა.

საკრებულოს სხდომაზე იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის მიზეზი კანონის მოშველიებით განმარტა: "საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში. ამასთანავე, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. როგორც ცნობილია, დავით ნიკოლეიშვილი 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე იყო პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიის წევრი, მე-2 ნომერი და საკრებულოს წევრად წარდგენილია ამ პარტიის წარდგინებით. 2021 წლის 3 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოში "ნაციონალურ მოძრაობას" უკვე რეგისტრირებული აქვს ფრაქცია. გამომდინარე აქედან, დაუშვებელია დავით ნიკოლეიშვილი გაწევრიანდეს სხვა ფრაქციაში." ამ ოფიციალური განაცხადის შემდეგ, მანაც და უმრავლესობის თითქმის ყველა წევრმაც ხაზი გაუსვა, რომ გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვისა, განაცხადზე უარის თქმის არანაირი ინტერესი არ არსებობდა. "აქ პრობლემა მხოლოდ დათო ნიკოლეიშვილის წევრობაა. თქვენ სხვა მუნიციპალიტეტში შექმნილი მსგავსი ფრაქციების მაგალითები მოგყავთ, მაგრამ იქ წევრების სხვა კონფიგურაციაა." – განუმარტა მანანა სირბილაძემ ოპოზიციონერ კოლეგებს.

თავად ფრაქციის შექმნის მსურველმა დეპუტატებმა შესაბამისი არგუმენტები მოიტანეს და განაცხადეს, რომ ისინი სამართლებრივი გზით გააგრძელებდნენ ბრძოლას და სასამართლოს მიმართავდნენ. იგივე პოზიცია ჰქონდა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს, პროფესიით იურისტ ემზარ შუბლაძეს, რომელმაც კანონის მოშველიებით დააფიქსირა, რომ ამ ფრაქციის შექმნა კანონიერი გახლდათ:

"აქ გასათვალისწინებელი და მთავარია ის, რომ ეს ფრაქცია იქმნება არაპოლიტიკური ნიშნით. ეს რომ იყოს პოლიტიკური ნიშნით შექმნილი ფრაქცია, მაშინ დავით ნიკოლეიშვილს არ აქვს უფლება მასში წევრად გაერთიანების, რადგან "ნაციონალურ მოძრაობას" უკვე აქვს საკრებულოში ერთი ფრაქცია. მართალია, იგი როგორც ჩვენი პარტიის წევრი ისე შევიდა საკრებულოში, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღია ჩვენი ფრაქციის შექმნაში, აღარ არის მისი წევრი, მან დატოვა პარტია და როგორც დამოუკიდებელმა დეპუტატმა გადაწყვიტა სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად აღნიშნული ფრაქციის შექმნა. მოგეხსენებათ, კანონი ფრაქციის შექმნას არანაკლებ სამი წევრისა, ითვალისწინებს. ამიტომ დავით ნიკოლეიშვილი, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი აკმაყოფილებს კანონის იმ კრიტერიუმს, რომელსაც უმრავლესობა იშველიებს. მასში სიტყვასიტყვით წერია, რომ ერთი პოლიტიკური პარტიის წევრებს აქვთ ერთი ფრაქციის შექმნის უფლება და ამაზე არ ვდავობთ! იმავე მუხლში არის პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ საკრებულოს წევრებს არაპოლიტიკური ნიშნით შეუძლიათ ფრაქციის შექმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრებულოს ნებისმიერ წევრს ტერიტორიული, რელიგიური და სხვა მსგავსი დატვირთვის გარდა, არაპოლიტიკური ნიშნით ფრაქციის შექმნის უფლება აქვს. წინა მოწვევის საკრებულოებში, როცა "ქართული ოცნება" კოალიცია იყო, უმრავლესობას ჰქონდა ასეთი ფრაქციები: "ქართული ოცნება-მრეწველები", "ქართული ოცნება-კონსერვატორები," და სხვა. მას მერე კანონში არაფერი შეცვლილა. ახლა, რადგან თავად არ აქვთ კოალიცია, აღარ სჭირდებათ და "აკრძალეს" ეს მუხლი. ესენი რომ იყვნენ ერთი პარტიის სიით საკრებულოში მოხვედრილი და შემდეგ პარტიიდან ცალკე გასული დეპუტატები, მაშინ კი ბატონო, ვერ შექმნიან ცალკე ფრაქციას, მაგრამ აქ ორი დეპუტატი სხვადასხვა პარტიის წევრია, ხოლო დათო ნიკოლეიშვილი უკვე დამოუკიდებელი დეპუტატია."

გივი ჯულაყიძე, პარტია "ლელო საქართველოსთვის" წარმომადგენელი, სასამართლოში ბრძოლის გაგრძელებაზე საუბრობს: "პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს ვდგამ და ვერ ვიტყვი, რომ ამ ადამიანებს პირადად ჩემთან რამენაირი პოლიტიკური კვეთა ან ზიანის მოყენების სურვილი ჰქონდეთ. სპეციალობით ინჟინერი ვარ და შესაბამისად, იურიდიულ საკითხებში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ ვფიქრობ, კანონში არის ისეთი ხელჩასაჭიდი ნიუანსები, რომელიც ამ არაპოლიტიკური ფრაქციის შექმნის უფლებას გვაძლევს. დღეს გამოვითხოვეთ დოკუმენტები და ჩვენ აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს. მადლობა მინდა გადავუხადო იმ დეპუტატებს, რომელთა მხრიდანაც მხარდაჭერა ვიგრძენით და თავი შეიკავეს საკითხზე გადაჭრით უარის თქმისგან."

სამართლებრივი გზით ბრძოლის გაგრძელებაზე, ბუნებრივია, თანახმაა კობა ძიძიგური, რომელიც პოლიტიკური გაერთიანება "გახარია საქართველოსთვის" სიით გახლავთ საკრებულოს წევრი: "იმ კანონში, უმრავლესობა რომ იშველიებს, არის მუხლი, რომლითაც სხვადასხვა პარტიის წევრებს არაპოლიტიკური ფრაქციის შექმნა შეუძლიათ. რადგან უარი გვითხრეს, სასამართლოში გავაგრძელებთ ბრძოლას.'"

სანამ ოპოზიციონერი დეპუტატები სასამართლოს მიმართავენ, უმრავლესობა კანონს იშველიებს და ხაზს უსვამს, რომ ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის ერთადერთი მიზეზი დავით ნიკოლეიშვილია. ორი დეპუტატი კი ფრაქციის შესაქმნელად საკმარისი არ არის. ერთი სიტყვით, საქართველოსთვის სამტრედიის და ზოგადად, სოფლის საშენებლად, ოპოზიციონერ დეპუტატებს სამტრედიიდან, ამ ეტაპზე, მესამე ხმა აკლიათ.

"მაქვს ამბიციური გეგმები ქალაქის განვითარებისთვის"

ნინო ნანიტაშვილი

მიმდინარე კვირაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი ხის დამამუშავებელი კომბინატის დასახლებაში მოსახლეობას შეხვდა. ადგილზე გასულმა მერმა იქ შეკრებილებს არსებულ აქტუალურ საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. იქვე განხილული იქნა დასახლებაში მიმდინარე და განსახოციელებელი პროექტების დეტალები, რაზეც ადგილობრივმა მოსახლეობამ მხარდაჭერა გამოხატა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციას სისტემატური ხასიათი ექნება.

დავით ბახტაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: "გვაქვს ამბიციური გეგმები ქალაქის განვითარებისთვის, რასაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით აუცილებლად განვახორციელებთ. პროექტების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და გათვალისწინებული მათი ინტერესები".

სუბსიდია ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადებზე

ნინო ნანიტაშვილი

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადის სუბსიდირება განხორციელდება. შესაბამისი დადგენილება საქართველოს მთავრობამ უკვე გამოსცა.

დადგენილების საფუძველზე, 70 ათასი ან ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დაუსუფსიდირებს.

სუბსიდირების თანხა შეადგენს 2020 წლის დეკემბერში შესაბამის საფეხურზე მოქმედ საბოლოო მომხმარებლის ტარიფსა და 2015 წლის ივლისში მოქმედ სამომხმარებლო ტარიფს შორის სხვაობას და დამატებით 2022 წლის იანვარსა და 2020 წლის დეკემბერში მოქმედ ტარიფებს შორის სხვაობას 1 კვ საათზე 3, 5 თეთრის ოდენობით. აღნიშნულ დახმარებას იღებენ თბილისში რეგისტრირებული 70 ათასი სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები.

ამასთან საქართველოს მთავრობა განახორციელებს ყოველთვიურად მოხმარებული არა უმეტეს 200 კვ სთ. ელექტროენერგიის საფასურის სუბსიდირებას, 1 კვ. სთ.-ზე 3, 5 თეთრის ოდენობით, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 ათასიდან 150 ათასამდეა, გარდა თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა.

ასევე, სუბსიდირება განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრირებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 ათასიდან 150 ათასამდეა და მონაცემთა ბაზის მიხედვით ცხოვრობენ თბილისში.

სუბსიდირება არ ვრცელდება იმ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ "აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ" დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებით. ამასთან 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით რეგისტრირებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 ათასი ან ნაკლებია და ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში ან მცხეთაში, განხორციელდება სასმელი წყლის საფასურის სუბსიდირება, არა უმეტეს 100 ლარისა.

სუბსიდირება ვრცელდება ყველა რეგიონზე და მთლიანად საქართველოზე.

"მოიზიდე და გაანადგურე"

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს ონლაინ შეხვედრაზე.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურა ჩეკურიშვილმა, აზიური ფაროსანას ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა შალამბერიძემ და იმერეთში მუნიციპალიტეტების მერებმა, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების შესახებ იმსჯელეს.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები სახელმწიფო პროგრამით დადგენილი გეგმის მიხედვით არის შემუშავებული და განხორციელების შედეგად ფაროსანას მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაზიანება მინიმუმ შემცირდება.

ონლაინ შეხვედრაზე ასევე აქტიურად ისაუბრეს მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების აქტიურ ჩართვაზე. გარემოზე პესტიციდების დატვირთვის შემცირების მიზნითა და წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მიმდინარე წელსაც აქცენტი "მოიზიდე და გაანადგურე" ტექნოლოგიის გამოყენებაზე გაკეთდება.

ნინო ნანიტაშვილი

"პროპლემა რომ მოგვარდეს, ღია ცხაური უნდა მოეწყოს"

სამტრედიაში, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, 7 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების არხების წმენდის განყოფილებამ, სანიაღვრე არხების გაწმენდის სამუშაოები აწარმოა.

იმ მოქალაქეებს, ვისაც წვიმიან ამინდში ფეხით გადაადგილება უხდებათ, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე საყოფაცხოვრებო ობიექტებამდე დატბორილი გზის გამო გარკვეული ბარიერი ექმნებათ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების არხების წმენდის განყოფილების სპეციალისტებმა, ზამთრის სუსხიანი ამინდის მიუხედავად, შიშველი ხელით უზრუნველყვეს ამორტიზებული წყალგამტარი არხების გაწმენდა.

არხების წმენდის განყოფილების უფროსის, ელგუჯა ვაშაკიძის განმარტებით, სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩის სისტემატურად დატბორვის პრობლემა რომ მოგვარდეს, დაახლოებით 100 მეტრის მანძილზე ღია ცხაურის მოწყობაა აუცილებელი: "კომუნალური გაერთიანების დირექტორის, კობა ბიბილეიშვილის დავალებით გამოვედით. 7 თებერვალს დილიდანვე დავიწყეთ ჯავახიშვილის ქუჩაზე, დაახლოებით 100 მეტრ მანძილზე წყალსაწრეტი არხების გაწმენდა. საბოლოო პრობლემას ამ სამუშაოს ჩატარებით ვერ მოვხსნით, თუმცა დღევანდელი აქტივობით დროის გარკვეულ პერიოდში დაზღვეულები ვართ, წყალი რომ არ დადგეს. ხელით სამუშაოები ჩავატარეთ. არხში დალექილი იყო მიწის მასა, არხი გულდაგულ ამოვწმინდეთ. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ მომავალში ჯავახიშვილის ქუჩის ამ მონაკვეთში, დაახლოებით, 100 მეტრის მანძილზე ღია ცხაურები უნდა მოეწყოს".

ნინო ნანიტაშვილი

თამარ მეფის ქუჩაზე ბამნვანების ზოლი მოვნყო

ნინო ნანიტაშვილი

ქალაქში გამწვანების საგაზაფხულო აქცია დაიწყო. 2 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 4 საცხოვრებელი კორპუსის წინ სამუშაოები ჩაატარა. იშვიათი ჯიშის დეკორაციული ნარგავებით გამწვანების აქციაში მოსახლეობაც აქტიურად ჩაერთო.

მრავალბინიანი კორპუსების მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით მადლიერებას ახლადრეაბილიტირებული ფასადების გამოც გამოხატავდა. შარშან 4 საცხოვრებელ კორპუსზე და რკინიგზის სადგურის მიმდებარე შენობებზე დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება ფასადების კაპიტალური რემონტი. თამარ მეფის ქუჩის მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას მალე გამწვანების ახალი ზოლიც გაალამაზებს.

დაახლოებით 120-მდე იშვიათი ჯიშის დეკორატიული ნერგი სამტრედიაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან იქნა შემოტანილი. თამარ მეფის ქუჩაზე 2 თებერვალს 40 ძირი დაირგო, რომლის მოვლა-პატრონობაზე ვალდებულება ადგილობრივმა მოსახლეობამ თავის თავზე აიღო.

ნანა თევზაძე, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსის მცხოვრები: "მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ადგილობრივ ხელისუფლებას ჩვენს კორპუსებზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების გამო. გაგვილამაზეს ფასადები, ჩვენი ბინები ესთეტიურად მიმზიდველი გახადეს. დღეს კი გამწვანების ზოლს გვიწყობენ. აქციაში ჩვენც აქტიურად ჩავერთეთ და პირობას ვდებთ, მის მოვლა-პატრონობაზეც ვიქნებით პასუხისმგებელნი". რამდენიმე დღის შემდეგ გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა ლაშა თევზაძის ქუჩაზე 60 ძირი დეკორატიული ნერგი დარგო.

მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები ლაშა თევზაძის ქუჩის მაცხოვრებლებთან ერთად დარგო. დავით ბახტაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: "მივესალმები სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის აქტივობას. ელგუჯა კალაძის ხელმძღვანელობით და უშუალო ჩართულობით სამტრედიაში, ქალაქის ტერიტორიაზე რამდენიმე ლოკაციაზე ათეულობით ნერგი დაირგო. მათ შორის არის სვეტისებური და ე. წ. გაშლილი კიპარისი და ალიანდრა. დეკორატიული ხე-ნარგავები ჩვენს ქალაქს სიმწვანეს და სილამაზეს შესძენს".

საგაზაფხულო აქციის მორიგი ეტაპი ჩაატარა გამწვანების სამსახურმა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში, ე.წ. ასბინიანი კორპუსის წინ, მომავლის პარკის გაყოლებაზე ჯერ ძველი ხე-ნარგავები მოიჭრა და გასუფთავდა ტერიტორია, მოგვიანებით კი ზუგდიდიდან შემოტანილი იშვიათი ჯიშის დეკორატიული ნერგები დაირგო.

გამწვანების ზოლის გაახლება მხედველობიდან არ გამორჩენია მრავალბინიანი კორპუსის მცხოვრებლებსა და იქ განთავსებული ობიექტების მეპატრონეებს, რის გამოც კეთილმოწყობის სამსახურისა და ადგილობრივი ხელისუფლების კონკრეტული პირების მიმართ მადლიერებას არ იშურებდნენ.

გომი იმუნიზაციის პოპულარიზაციისთვის

ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, სოფლებში კოვიდ პანდემიის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია მასშტაბურ ხასიათს იღებს. იგი სოფლად მცხოვრები 50 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის პროცესში სულ უფრო მზარდი რაოდენობით ჩართვის აგიტაციას გულისხმობს. ამჯერად, სამედიცინო ბრიგადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემს ეწვია. პროცესს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები,მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია ესწრებოდნენ. აქვე იყო საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, პროფესიით ექიმი ნათია პაპავა. "გასული წლის ივლისიდან პირველად ჩვენი ბრიგადა ჩაერთო ამგვარი გასვლითი ჯგუფების მუშაობაში. თავიდან ცოტა სკეპტიკურად გახლდათ განწყობილი მოსახლეობა ვაქცინაციის მიმართ. ნელნელა ყინული დაიძრა და აცრის მსურველები ყოველდღე იმატებენ. ვფიქრობთ, ხელისუფლების მხრიდან მასტიმულირებელმა გადაწყვეტილებებმაც თავისი როლი ითამაშა ამ საქმეში, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ვაქცინაცია საზოგადოების გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. ყველა დროს მან თავისი როლი ითამაშა ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ვაქცინა იცავს და ამართლებს, გვენდეთ!" – ამბობს ჩხობაძის კლინიკის წარმომადგენელი, თერაპევტ-კარდიოლოგი ლავრენტი პირტახია. სწორედ იგი ხელმძღვანელობდა ბრიგადას, რომელიც გომის მოსახლეობის ვაქცინაციას უზრუნველყოფდა.

"ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მოსახლეობას ვაქცინაციისკენ მოვუწოდებ. ეს, მინიმუმ, პანდემიის სწრაფად დასრულების გარანტია. ვაქცინა იცავს. ერთმანეთისა და საკუთარი ჯანმრთელობისთვის უნდა ავიცრათ! " – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნათია პაპავამ.

აცრის მოლოდინში შეკრებილი მოსახლეობისგან გაირკვა, რომ უმეტესი მათგანი "ფაიზერის" ვაქცინას ანიჭებდა უპირატესობას. რამდენიმე მათგანი აცრის ბუსტერ დოზით გასაძლიერებლადაც გახლდათ მისული გომის ცენტრში, სადაც ვაქცინაცია მიმდინარეობდა.

თეა გაგუნაშვილი

როგორია ეპიდსიტუაცია სკოლებში?

8 თებერვლის მდგომარეობით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სრულ დისტანციურ ელექტრონულ სინქრონულ სწავლებაზე 18 საჯარო სკოლა იმყოფება. ვადა განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, რომელსაც საფუძვლად ეყრდნობა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის დირექტორის სარეკომენდაციო წერილები. ქალაქის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, მეათე, მეტერმეტე, მეთორმეტე, სოფლების: დაბლა გომის, მელაურისა და საჯავახოს საჯარო სკოლები დასწრებით სწავლებას განაახლებენ 14 თებერვლიდან, ხოლო წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლამდიდებლური სკოლა, ასევე დიდი ჯიხაიშის №1, დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის, იანეთის, კორმაღლის, გომის, დაბა კულაშისა და ბაშის საჯარო სკოლები დასწრებით სასწავლო პროცესს 21 თებერვლიდან დაუბრუნდებიან.

პედაგოგების დაინფიცირების მაჩვენებელი მაღალია, რაც ვლინდება გეგმიური ტესტირების საფუძველზე, რომელიც აუცრელ და ერთჯერადად აცრილ პედაგოგებს ყოველკვირეულად უტარდებათ, ხოლო ორჯერ და ბუსტერით ვაქცინირებულებს ორ კვირაში ერთხელ. 'კვლავ აქტუალურია ვაქცინაციის პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 8 თებერვლის მდგომარეობით 612 თანამშრომელია ვაქცინირებული, მათ შორის 496 პედაგოგია. გარდა ამისა, 4 საჯარო სკოლას ემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც ჩვენი პედაგოგებისა და მოსწავლეების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ. ასევე მათ მიერ ხდება ადგილზე გეგმით გათვალისწინებული ტესტირებების ჩატარება.

"მინდა, მოვუწოდო განსაკუთრებით მშობლებს, მეტი ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ თავიანთი და სხვისი შვილების მიმართ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ონლაინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები დაინფიცირებულები არიან, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მიზეზი არ არის სკოლა, არამედ დღეობები, დღესასწაულები, სადაც ისინი იკრიბებიან და ინფიცირების წყარო ხდება სკოლიდან დამოუკიდებლად. ჩვენ გვაქვს არაერთი დამცავი მექანიზმი რისკის ჯგუფის მქონე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, რათა მათ თავიანთი ფუნქციები უსაფრთხო და მშვიდ გარემოში განახორციელონ და განაგრძონ სასწავლო პროცესი, რომ მათი სწავლების ხარისხი არ დაქვეითდეს.

2021-2022 სასწავლო წლიდან საქართველოს მასშტაბით ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია, რეგისტრაცია გაიაროს ონლან სწავლებაზე, რაშიც დროის შეზღუდვა არ ექნებათ". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

ნინო ნანიტაშვილი

ПРОФЕСИОНАЛЕБИ ПРОФЕСИАЗЕ

ქართული ჟურნალისტიკა დაავადებულია ყველა იმ სენით, რაც, ზოგადად, საქართველოს შეჰყრია

სულ "ეაი პონტი" იყო, ჟურნალისტიკაში რომ იყავი...

თეა ბაბუნაშვილი

ჟურნალისტების და ზოგადად, მედიის წინააღმდეგ აგორებული ტალღა სულ უფრო აგრესიული ხდება. მედიაზე განაწყენებული საზოგადოებაა ამის შემოქმედი თუ ხელისუფლება, ხშირ შემთხვევაში ადვილად ამოსაცნობია, მაგრამ სხვა საკითხია, რატომ იქცა ნეგატივი ქვეყანაში პოზიტივად ჟურნალისტიკაში და რამდენად პირნათელია, ძირითადად, იმისტებად და ამისტებად გაყოფილი ქართული ჟურნალისტიკა მკითხველისა და მაყურებლის წინაშე, რომლის ნდობას დღითიდღე ჰკარგავს. ბრალდება, საკუთარი არსით მუდმივად საზოგადოების სიმართლის სადარაჯოზე მყოფი ამ მიუკერძოებელი პროფესიის მიკერძოებისკენ მიდრეკილებისა, მსჯელობის საგნად თვით ჟურნალისტებისთვისაც იქცა. საბედნიეროდ, არც სიმართლის მთქმელი და ცხენშეკაზმული რეპორტიორების სიმცირეს უჩივის თანამედროვე ქართული მედია. ამიტომაც, მისი მიზანმიმართული დისკრიმინაცია რომ სულ უფრო შესამჩნევია, სახეზეა. არც იმის გამოცნობაა რთული, ვინ არის ამის ბიძგის მიმცემი!

დიახ, მედია ისეთია, როგორ სახელმწიფოშიც ვცხოვრობთ! აქედან გამომდინარე, ის, თუ რამდენად დარჩა პროფესიონალიზმის ადგილი ქართულ ჟურნალისტიკაში, თავად ჟურნალისტებისთვისაც სულ უფრო დამაფიქრებელი ხდება.

რუბრიკა, რომელიც ჯერ ისევ ახალია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ჟურნალისტებმა საკუთარ პროფესიაზე საუბრით დავიწყეთ. მით უმეტეს, რომ სულ რაღაც ერთ თვეში ქართველი ჟურნალისტები პროფესიულ დღესასწაულს აღვნიშნავთ.

საკუთარი ნაკლი ყველაზე კარგად თავად ვიცით. პირველივე რესპონდენტად ჟურნალისტი დათო ლიკლიკაძე შევარჩიეთ. საუბარი, ძირითადად, პროფესიულ ჭრილში წარიმართა, მაგრამ მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ვერც არათემატურ გადახვევებს ავცდით. ინტერვიუ საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. მკითხველი მისთვის საინტერესო კითხვებზე მიიღებს პასუხს, მეოთხე ხელისუფლებად აღიარებული მედიის წარმომადგენლები კი საკუთარ ნაკლსა და ღირსებას დაინახავენ.

– ქართული მედიისა და ზოგადად, ჟურნალისტიკისადმი აგრესიას საზოგადოება, მკითხველი და მაყურებელი, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხმაურიანად გამოხატავს. რამდენად არსებობს, ამის მიზეზი და როგორია თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის რეალობა, ამართლებს კი იგი თავის დანიშნულებას? ასე ვთქვათ, რამდენად ჟურნალისტურია დღეს ქართული ჟურნალისტიკა?

– ქართული ჟურნალისტიკა დაავადებულია ყველა იმ სენით, რაც, ზოგადად, საქართველოს შეჰყრია. ვიყავით ტოტალიტარული სახელმწიფო და მედიაც იყო ტოტალიტარული, ვიყავით პოსტსაბჭოური და მედიაც იყო პოსტსაბჭოური, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია იწერებოდა დამოუკიდებელ მედიასთან ერთად, ერთნაირად ვყალიბდებოდით ჩვენც და სახელმწიფოც, და ბოლოს, როცა ორპოლუსიანი გახდა ჩვენი ქვეყანა – იმისტები და ამისტები, მედიაც გადაიქცა იმისტებად და ამისტებად. ანუ ორი პოლარული ნაწილის აქეთა და იქითა ნაპირზე აღმოჩნდა. ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რაც ქვეყანას სჭირს, ის სჭირს დღეს ქართულ მედიასაც. ეს კარგია თუ ცუდი, სხვა საკითხია, მაგრამ შეფასება ასეთი შეიძლება მისცე თანამედროვე მედიას.

– და რამდენად მისაღებია ეს? ჟურნალისტიკა ხომ არ არსებობს ოპოზიციური და სახელისუფლებო, უპირველესად, რაც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა იყოს მხარე!

– მედიის და, ზოგადად, ჟურნალისტიკის გაგება, მოდარაჯე ძაღლის ფუნქციაა. მას ამგვარი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს როგორც ხელისუფლებაზე, ასე ოპოზიციაზე, საზოგადოებაზე და საერთოდ ყველა მიმართულებაზე. ახლა გამოდის, რომ მედიის გარკვეული ნაწილი დარაჯობს, ხელისუფლება რას გააფუჭებს, რადაც ნაწილი ოპოზიციაზეა ჩასაფრებული. შესაბამისად ერთნი ხელისუფლების მიმართ არიან მაამებლური, მეორენი ოპოზიციის მიმართ. მიუხედავად ამისა, არსებობენ მედიასაშუალებები, მეტ-ნაკლებად რომ ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც ორ უკიდურეს ნაწილადაა გაყოფილი მედიასაშუალებები. ხელისუფლებას, ოპოზიციასა და ხალხს შორის ასიდან მხოლოდ ათი პროცენტი დგას, დანარჩენი სამწუხაროდ, მხარეა!

– აქედან გამომდინარე, საზოგადოების უნდობლობა ხელოვნურად არ არის შექმნილი და აგრესია სამართლიანია?

– ნდობის დაკარგვა საზოგადოების მხრიდან კარგა ხანია დაიწყო და არა მხოლოდ ჟურნალისტიკისა და მედიის მისამართით. მედია მყარად იდგა და თავისი გავლენა ჰქონდა 90-იან წლებში. მერე უკვე თანდათან მოწყვლადი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნელ-ნელა დათმო რაღაც პოზიციები. უკვე არასამთავრობო ორგანიზაციებმაც დაკარგა ნდობა. სახელმწიფო ინსტიტუტებმა – სასამართლომ, პოლიციამ, პარლამენტმაც კარგა ხანია, ნდობა დაკარგა. იქამდე ეკლესიაც ჰკარგავს ნდობას. ბოლო კვლევებით ეკლესიის რეიტინგი 50 პროცენტზეა, როცა თავიდან 100 პროცენტიანი ნდობის ფაქტორი ჰქონდათ, შემდეგ 80-ზე, მერე 70-ზე ჩამოვიდნენ. სამწუხაროდ, ქვეყანაში არა მხოლოდ მედიის, ყველაფრის ნდობა იკლებს. ხალხი, ზოგადად, ინსტიტუციებისადმი უნდობლადაა განწყობილი.

–რამდენად არის ჟურნალისტის თავისუფლება დამოკიდებული მის შინაგან თავისუფლებასა და სინდისის კარნახზე, მის პროფესიონალიზმზე? ამას იმ გამოცემისა თუ მაუწყებლის ხელმძღვანელები ხომ არ უნდა საზღვრავდნენ, სადაც ის არის დასაქმებული?

– რა არის, იცით? შეიძლება არ არსებობდნენ ბოლომდე თავისუფალი მედია საშუალებები, მაგრამ არსებობენ ბოლომდე თავისუფალი ჟურნალისტები! ასეთი ჟურნალისტები, ძირითადად, არიან მეამბოხეები, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან და იმიტომ კი არა, რომ არ უყვართ ერთ ადგილზე გაჩერება, როგორც წესი, უპირისპირდებიან გამომცემლებს, რედაქტორებს და თავიანთი პრინციპული პოზიციის გამო ხშირად უწევთ სამსახურის დატოვება. მერე გარბიან სხვაგან. ცოტა ხანში იქაც "არ ეყოფათ" თავისუფლება და იქიდანაც გარბიან. და როგორც წესი, ვერ ხერხდება კარგი ჟურნალისტის შენარჩუნება რედაქციის მიერ, იმიტომ, რომ ბოლომდე ვერ აძლევენ თავისუფლებას ჟურნალისტებს, ვისაც სხვაგვარად არ შეუძლიათ.

– რაიონულ მედიას რამდენად იცნობთ?

– სამწუხაროდ, ახლა ისე ვეღარ ვადევნებ თავს რაიონულ მედიას, როგორც ადრე. ადრე ამას ვახერხებდი, მაგრამ ეს მთლად ჩემი და ჩემი მოუცლელობის ბრალიც არ არის. მათი მხრიდან პასიურობის ბრალიც არის და კიდევ ინტერნეტის ბრალია. ახლა რაიონულ მედიას კი არა, ცენტრალურ ტელევიზიებს აღარ უყურებს ხალხი. გაზეთი "ცოცხლად" უკვე ბევრი წელია, აღარ წამიკითხავს. არადა, გაზეთი და ჟურნალი ძალიან მიყვარს. რომ იტყვიან, "ჩაიზე მისაყოლებლად", ისეა ჩემთვის გაზეთი, ყველაფერზე შემიძლია "მივაყოლო", ჩაიზე, ქუჩაში, ტრანსპორტში, მაგრამ ტელეფონის ბრალია ყველაფერი, "სქროლავ" და ტელეფონში გაქვს გაზეთიც, რადიოც, ტელევიზიაც და, შეიძლება ითქვას, მთელი სამყაროც.

– პრესა რომ ჟურნალისტიკის ხერხემალია, უცხო არც ერთი ჟურნალისტისთვის უნდა იყოს. ამასთანავე, მუშაობა გაზეთში, ურთიერთობა კალამთან, გაცილებით რთული საქმეა და შეიძლება ითქვას, ინტელექტსაც განსაკუთრებით მოითხოვს. მიუხედავად ამისა, გაზეთებს გაუჭირდათ, რამდენადმე უკანა პლანზე გადაიწია პრესამ. გასაგებია, რომ მკითხველის ინტელექტზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ მაინც მეორეხარისხოვანი გახდა ბეჭდური გამოცემები. განვითარებული ტექნოლოგიების საუკუნეში დაკარგა პრესამ თავისი მნიშვნელობა?

– ამერიკასა და ბრიტანეთში ვერ დაკარგა! გავლენიანი "გარდიანი" და "ნიუ-იორკ თაიმსი" წყვეტენ პოლიტიკურ დღის წესრიგს. მაგრამ ამ გამოცემებმაც რაღაც დოზით ინტერნეტი გამოიყენეს გადარჩენის საშუალებად. იქნებ იყო მათი ამ გავლენის დაკარგვის საშიშროება, მაგრამ არ დაკარგეს. საქართველოში ბევრ გაზეთს ძალიან გაუჭირდა ცენტრალურსაც და ალბათ, რეგიონულსაც.

– უკვე არაერთი წელია, ჟურნალისტიკა ყველა პროფესიის ადამიანის თავშესაფრად იქცა. ამის მაგალითად ტელეგადაცემებში მსახიობების განსაკუთრებული სიმრავლე შეგვიძლია მოვიყვანოთ ტელეწამყვანებისა და ჟურნალისტების ამპლუაში. და არა მხოლოდ მსახიობები აქტიურობენ ამ სფეროში, თითქმის ყველა პროფესიის ადამიანს ნახავ წარმოდგენილს ჟურნალისტის პროფესიის საფარქვეშ. ხშირ შემთხვევაში შესამჩნევია, გადაცემა იქნება თუ საგაზეთო სტატია, ასე ვთქვათ, არაჟურნალისტის ხელი! დარჩა კი ჟურნალისტიკაში პროფესიონალების ადგილი?

– გეთანხმებით, რომ ჟურნალისტობას ყველა იბრალებს. და ეს იმიტომაც, რომ ჟურნალისტიკა ყოველთვის პრესტიჟული იყო. სულ "კაი პონტი" იყო, ჟურნალისტიკაში რომ იყავი. მსახიობებსაც უხარიათ ტელევიზიებში რომ მუშაობენ, იურისტებსაც უხარიათ, სტატიებს რომ ბეჭდავენ. მერე ისე ხდება, რომ ყველა ეკედლება ჟურნალისტიკას. თუმცა, ჩვენ ამას ვერ ავკრძალავთ, იმიტომ, რომ ჩვენ რომ პროფესიული ცენზურით ამის აკრძალვა მოვითხოვოთ, მთავარ მონაპოვარს "დავარტყამთ" – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. ყველას აქვს უფლება, თავისი მოსაზრება გამოხატოს მედიის საშუალებით..

– მაგრამ პროფესიონალიზმი რომ დაიკარგა? რომ დაზარალდა ამით ეს სფერო? შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ ამ მიზეზით, მაგრამ ესეც ხომ გასათვალისწინებელია?

– ესეცაა, მაგრამ პროფესიონალიზმი არ უნდა დაიკარგოს, პროფესიონალი ჟურნალისტი უფრო უნდა გამოჩნდეს ამ არაპროფესიონალებისა და დილეტანტების არმიაში. და თუ არ გამოჩნდა, ვერ ყოფილა "მაგარი" მხოლოდ იმიტომ, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ასე რომ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მე ჟურნალისტი ვარ და

→

ვისაც ლიტერატურა უყვარს

"თანამედროვე ქართველმა ლიტერატურამ დაკარგა ის ეშხი, რაც უნდა ჰქონდეს"

ნათია ნაცვლიშვილი

გალა ფახურიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტია. წარსულში წარმატებული მოსწავლე ჩვენს რუბრიკაში "ვისაც ლიტერატურა უყვარს" სტუმრად მოვიწვიეთ. მაშ ასე, როგორ დასჯიდა წიგნის ქურდს, როგორ შეიძლება დაიცვა ბალანსი ელექტრონული და მატერიალური წიგნების გამოყენების თვალსაზრისით, ამაზე ის თავადვე მოგვახსენებს.

– იურისტის, სამართალდამცავის ძირითადი საკითხავი, ალბათ, კანონთა და კოდექსთა კრებულებია, გრჩებათ დრო მხატვრული ლიტერატურის საკითხავად?

– იურისტისათვის, განსაკუთრებით კი პროფესიული განვითარებისთვის, აქტიურად მოდვაწე სპეციალისტისთვის რთულია მხოლოდ ლიტერატურისათვის კი არა, ზოგადად, ნებისმიერი ჰობისათვის დროის გამოყოფა, თუმცა საჭირო მოტივაციით შეუძლებელი არაფერია. ვცდილობ, ლიტერატურას მაქსიმალური დრო დავუთმო და რაც შეიძლება მეტი გავიგო თანამედროვე თუ კლასიკური ნაწარმოებების შესახებ...

– წიგნებთან განშორების ყველაზე დიდი რა პერიოდი გქონიათ?

– ალბათ, 2-3 თვე, სწავლის პარალელურად მუშაობის პერიოდში გამიჭირდა დროის განაწილება და სწორი მოტივაციის პოვნა წასაკითხად, თუმცა პირველივე შესაძლებლობისთანავე ეს შანსი გამოვიყენე.

– როგორ ივსება თქვენი საოჯახო ბიბლიოთეკა, ხომ არ ჩაანაცვლა ჩვეულებრივი წიგნი ონლაინწიგნმა?

– საოჯახო ბიბლიოთეკას ყოველთვიურად ვაახლებ, ბიუჯეტიდან ყოველთვის მაქვს გამოყოფილი თანხა რამდენიმე სასურველი წიგნის შესაძენად. წიგნის ელექტრონული ვერსიები, ცალსახაა, ძალიან კომფორტული და ხელმისაწვდომია.

– სად უფრო კომფორტულია კითხვა – პლანშეტში თუ წიგნში?

– ეს ძალიან ინდივიდუალური საკითხია, ჩემთვის მეტად კომფორტულია პლანშეტში კითხვა, წიგნთან ურთიერთობა სასიამოვნოა, თუმცა, პრაქტიკულად გამოყენებადი ხერხები უფრო გვიადვილებს

– კლასიკას უფრო ერთგულობთ თუ თანამედროვე ბესტსელერებს?

– თანამედროვე ლიტერატურა საკმაოდ დამაინტრიგებელი და არაპროგნოზირებადია, თუმცა მე უპირატესობას მაინც კლასიკას ვანიჭებ, ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ვითარდებოდნენ და ცხოვრობდნენ ადამიანები, რა მისწრაფებები, კულტურა, ურთიერთობები ჰქონდათ გასულ საუკუნეებში და კლასიკოსების გაცნობა ამ ცოდნის გაღრმავებასა და ინტერესის დაკმაყოფილებაში მეხმარება.

– ვის მიიჩნევთ ყველა დროის შთამბეჭდავ მწერლებად და პოეტებად?

– რთულია ფავორიტებზე საუბარი, ვინაიდან ასეთი ბევრია და სხვადასხვა ჟანრში სხვადასხვა "რჩეული" მყავს, თუმცა თუ ზოგადად ვისაუბრებთ, ალბათ, მაინც ემანუელ კანტი, პოეტებს რაც შეეხება, ცალსახად გალაკტიონი.

– გქონიათ ურთიერთობა რომელიმე ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედთან ან ცნობილ მწერალთან და პოეტთან?

– სამწუხაროდ, არა.

– გაქვთ სამაგიდო წიგნი? გაქვთ გონებაში ჩაბეჭდილი რომელიმე მოაზროვნის ციტატა?

– ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია მიყვარს ძალიან: "თუ ეჭვობ, გადადგი კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი წინ".

– წიგნის ან წიგნების ქურდობისათვის ადამიანს რა სასჯელს შეუფარდებდით?

– ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვაგვარად მოვიქცეოდი. წიგნს გააჩნია, თუ 150 ლარს სცდება ზიანი, სერიოზულად გვაქვს საქმე (ხუმრობით), თუ წასაკითხად სურს, მაშინ გავარიდებდი და თუ სხვა მიზნები აქვს, მაშინ ერთიდან სამ წლამდე.

– ბუკინისტურ მაღაზიებს სტუმრობთ? აღმოგიჩენიათ ქუჩაში ბიბლიოგრაფიული იშვიათობანი?

– ხშირად ვსტუმრობ-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ, თუმცა კვირაში ერთხელ მაინც შევივლი ხოლმე, ქუჩაში გადავაწყდი წიგნს "აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი," ტფილისი, 1914 წელი.

– მეგობრებს წიგნიერების კრიტერიუმით ირჩევთ თუ წესიერება პლუს წიგნიერების კრიტერიუმით?

– შეუძლებელია, ადამიანი წიგნების მიმართ დამოკიდებულების, ანდა მისი წიგნიერების დონით შეარჩიო, მთავარია, ღირებულებებით ნაწილში გვქონდეს თანხვედრა, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

– გიტირიათ რომელიმე წიგნი ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში?

– არც ერთ წიგნზე არ მიტირია, აი, ცხოვრებისეული პრობლემებისა და ბარიერების გადალახვაში ადამიანს დაეხმარება რამ დასის წიგნი "იყავი აქ და ახლა".

– არსებობს წიგნი, რომელიც სიძვირის გამო ვერ შეგიძენიათ?

– კი, ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევა, თუმცა ელექტრონულ ვერსიებს ვპოულობ ხოლმე საკმაოდ მისაღებ ფასად.

– თანამედროვე ქართული ლიტერატურული ტენდენციების თქვენეული შეფასება როგორია?

– თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ფაქტობრივად, რადიკალურად განსხვავდება კლასიკისაგან თავისი შინაარსით, სტილითა და ნაწარმოებებში დასმული პრობლემებით, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ვინაიდან ამ საუკუნეში განსხვავებული თემებია აქტუალური და ლიტერატურაც პასუხობს დროს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ დაკარგა ის ეშხი, რაც უნდა ჰქონდეს და ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდება, რომ მწერლების ნაწილის მთავარ მოტივაციას არა ნაწარმოები, არამედ, მატერიალური საკითხი წარმოადგენს.

შემიძლია ვთქვა, რომ მე არ დამიკარგავს ჩემი ყავლი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი "შემოვარდა" ჟურნალისტიკაში. თუ დავკარგავ, ესე იგი, ჩემზე კარგები გამოჩნდნენ და უნდა გავიწიო გვერდზე! ასეა ეს და ვერ შევაჩერებთ ამას!

– რეალურად არის თუ არა დღეს ჟურნალისტიკა მეოთხე ხელისუფლება?

მაინც არის! ადრე რომ გეკითხათ, უფრო გამართულად გეტყოდით, არის-თქო! წლებია ვკარგავთ ამ გავლენას, მაგრამ მაინც შეგვიძლია ჩვენი გავლენის მოხდენა, შეგვიძლია ადამიანები შემოვაბრუნოთ სიკეთისაკენ ან ცუდისაკენ, გააჩნია რას ვიკადრებთ. ასე რომ, ჟურნალისტიკას მაინც აქვს თავისი დიდი ძალა.

– თავიდან რომ იწყებდეთ, ისევ ჟურნალისტი იქნებოდით? ვიცი, რომ თქვენ მეორე პროფესიაც გაქვთ, მსახიობი ხართ.

– ასეთ კითხვაზე ყველა პასუხობს – კი. მე არ ვიცი, იმიტომ, რომ მე ბავშვობიდან თეატრში გავიზარდე, თეატრს დავუკავშირე ცხოვრება, თავიდან თეატრალურზე ვსწავლობდი. თუმცა, ვიტყვი, რომ ძალიან კარგი ვქენი, ჟურნალისტი რომ გავხდი. ჟურნალისტიკამ ბევრი კარგი რამ მომცა, მაგრამ თავიდან რომ ვიწყებდე, ალბათ, ისევ ავირჩევდი ჟურნალისტიკას, ალბათ!

– ცნობადობა არასდროს ყოფილა დათო ლიკლიკაძის პრობლემა, განსაკუთრებით ბოლო დროს. თქვენი პოპულარობის საიდუმლო...

– დიდი მადლობა. ეს საიდუმლო არის ჩემს გახსნილობაში, ვარ აბსოლუტურად გახსნილი, მაქვს მიმღებლობა ყველაფრის –კარგი სიტყვები მითხარით და მესიამოვნა, მაგრამ ცუდიც რომ გეთქვათ, არ გავბრაზდებოდი, მაინც გამოგყვებოდით საუბარში, არ გავწყვეტდი თქვენთან ურთიერთობას, პირიქით, რჩევას გკითხავდით, რატომ ვარ ცუდი, რა არ მოგწონთ, როგორ გამოვსწორდე და მივიღებდი თქვენს აზრს. ასეთ ადამიანებს ყველაფერს პატიობენ. იუმორისა არ იყოს, იუმორი ბევრს აქვს, განსაკუთრებით ქუთაისში იუმორი ყველას აქვს, მაგრამ ყველას იუმორი კი არ არის მისადები. მე როცა მეხუმრებიან, ან ჩემზე ხუმრობენ, მსიამოვნებს. მაგრამ როცა შენ თავად არ იღებ ხუმრობას და სხვას "აღადავებ", კი არ ეხუმრები, ეს უკვე მავნებლობაა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თავად გქონდეს ამ ყველაფრის მიმღებლობა. როცა დია ხარ, მარტივად "გადიხარ" საზოგადოებაში და ისიც დადებითად გიღებს.

– როგორც ვიცი, სამტრედიასთან განსაკუთრებული მეგობრობა გაკავშირებთ...

– ძალიან მიყვარს სამტრედია, ბევრი ემოციური ბმა მაქვს ამ ქალაქთან. ჩემი ერთ-ერთი პირველი და ნამდვილი სიყვარული უკავშირდება სამტრედიას. რა თქმა უნდა, არ დავასახელებ ვინ არის, მასაც ძალიან კარგი ოჯახი ჰყავს და მეც ოჯახი მყავს. ეს ქალაქი ჩემთვის სიყვარულთან ასოცირდება. როგორ შეიძლება, სამტრედია არ მიყვარდეს, როცა სამტრედიელი გოგონა სიგიჟემდე მიყვარდა და წლები მიყვარდა!

– საზოგადოებისთვის ცნობილია თქვენი გატაცება თეატრით. უფრო სწორად, ამას მხოლოდ გატაცებას ვერ დავარქმევთ, სცენაზეც დგახართ არაერთი როლით. მსახიობ დათო ლიკლიკაძეზე რას გვეტყვით?

– ჯერ ისევ მეორე კლასში ვიყავი, მამიდაჩემმა, მარიკა მარუაშვილმა, რომელიც ქუთაისის მასწავლებელთა სახლის დირექტორი გახლდათ, მოზარდ მაყურებელთა თეატრში რომ მიმიყვანა, რომელიც მასწავლებელთა სახლში იყო. მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგი, დღესაც მოქმედი, ძალიან კარგი არტისტი, ავთანდილ სახამბერიძე. მან მომკიდა ხელი და გამზარდა. მას მერე თეატრში ვარ. შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. მას მერე ახალგაზრდულ თეატრში ვარ და 25 ქვეყანაში მაქვს სპექტაკლი ნათამაშები. ახლა ორ მოქმედ სპექტაკლში გახლავართ დაკავებული.

– ტურიზმიც განსაკუთრებულად არის თქვენი ინტერესის სფერო, გიდიც ხართ ხომ?

– დიახ, ეს გახლავთ ჩემი მესამე პროფესია, რომელიც, რასაც ჰქვია, შევიძინე. პირველად, როცა ჩემი სახელობის ტურები გაკეთდა და ძალიან მალევე გაიყიდა, მივხვდი, რომ ეს რესურსი გამოსაყენებელი იყო, ამით სიამოვნებასაც მივიღებდი და ფულსაც ვიშოვიდი. სხვათა შორის, პირველი რამდენიმე ტური, მართლა ჰგავდა გართობას, მაგრამ შემდეგ თავს არ მივეცი უფლება, მხოლოდ იუმორისა და სიცილის გამო ვყოფილიყავი გიდი. და დავამთავრე ნიუკაზის სკოლა – გიდების ყველაზე ძლიერი სკოლა თბილისში. ამის საშუალება მომცა იმერეთის ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელობამ. რამდენიმე ჩემს კოლეგასთან ერთად დავამთავრე ეს სკოლა და ვარ პროფესიონალი გიდი. მალე ეგვიპტეში მიმყავს ჯგუფი, მარტში დუბაიში, აპრილში სტამბულში. ყველა ეს ტური, რა თქმა უნდა, უკვე გაყიდულია.

– და უკვე რომელი უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ჟურნალისტიკა, თეატრი თუ გიდის პროფესია?

– ეს მარტივი შეკითხვა უკვე ცოტა ძნელად პასუხგასაცემია ჩემთვის. ასე ვთქვათ, რომ ჟურნალისტიკა მაინც ჩემი ძირითადი პროფესიაა, თეატრი არა მხოლოდ ჰობია, ჩემი სამყაროა, ტურიზმი, გარდა იმისა, რომ საინტერესოა ძალიან, არის სფერო, სადაც ფულს ვშოულობ.

ვინ იწონებს და ვინ იწუნებს სკაბრეზის და უხამსობების კორიანტელს

ნათია ნაცვლიშვილი

ბოლო ხანს ლიტერატურულ ტექსტებში, სოციალურ, ტელე თუ ბეჭდვურ მედიაში ერთობ მოხშირებულ სკაბრეზულ გამოთქმებსა და ბილწსიტყვაობას პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი ეხმიანება და ინიციატივით გამოდის, კანონმა აკრძალოს ჩვენ გარშემო არსებული ბილწსიტყვაობის კორიანტელი. მეცნიერს, ფილოლოგს ჩვენი უახლესი ისტორიული წარსულიდანაც მოჰყავს მაგალითები. აი, ერთ-ერთი მათგანი:"ერთხელ ქალბატონ ანა კალანდაძეს მწერლის"ენობრივ თავისუფლებაზე" ჩამოვუგდე სიტყვა, ბრძანა: არა მგონია, ბილწსიტყვაობა, რომელიც დღეს ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, მწერლის ენობრივი თავისუფლების მაჩვენებელი იყოს, მას ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი თავისუფლებისათვის, ქვეყნისათვის.!"

კიდევ ერთი მაგალითი: "ახლადდაარსებული უნივერსიტეტის რექტორს, პეტრე მელიქიშვილს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე შელაპარაკება მოსვლია დეკანთან, პროფესორ ანდრია რაზმაძესთან (1919 წელია), მეორე დღეს რექტორს საბჭოსთვის განცხადება წარუდგენია, თანამდებობიდან გამათავისუფლეთ, თავი ვერ შევიკავე და ისეთი რამ ვიკადრე, რაც არ ეკადრება რექტორსო... ოქმში არ წერია, რა სიტყვები აკადრეს ერთმანეთს, ცხადია, არ იქნებოდა ისეთი სკაბრეზი, დღეს რომ გვესმის, მაგრამ) საბჭომ დააკმაყოფილა რექტორის თხოვნაც და დეკანისაც! აი, ეს იყო ზნეობრივი გაკვეთილი!

და როცა ზნეობრივი ატმოსფერო ასე წახდა, იურიდიულმა კანონებმა უნდა იკანონონ!" – ასეთი მკაცრი ვერდიქტი გამოაქვს გიორგი გოგოლაშვილს.

ვერ გეტყვით, რამდენად მოეწონებოდა ჩვენს ბრწყინვალე პოეტესას, ანა კალანდაძეს "ტრფობა წამებულთა" და შესძლებდა თუ არა მის ხმამაღლა წაკითხვას აუდიტორიის წინაშე, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ტექსტების ავტორები დღეს ერთობ პოპულარულნი არიან!

ამ საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრნი, ინტელიგენციის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი დაიხატა: დემოკრატია არ გულისხმობს დასჯას, დემოკრატიული ღირებულებების დაცვა უპირველესად, სწორედ მრავალფეროვნებას და შემოქმედებით თავისუფლებას გულისხმობს, მაგრამ ზნეობასთან ხმაშეწყობილად და არა მის გარეშე!

ბაჩანა ჩაბრაძე, საფრანგეთში მცხოვრები პოეტი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი:

"ლიტერატურულ ტექსტებში, მთავარია, ჰარმონია და შესაბამისობა იყოს დაცული. ყველაფერი დამოკიდებულია კონტექსტზე და კონკრეტულ სცენაზე, რომელსაც ტექსტში ვეცნობით. თუ გმირთა იმ ფენას ეხება საქმე, რომელიც ბრუტალურ ექსპრესიას მიმართავს, ცხადია, ავტორიც მათ ტყავში უნდა შეძვრეს და მათ მსგავსად ილაპარაკოს. დამეთანხმებით, მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილი ძალადობრივი სცენები არანაკლებ შოკისმომგვრელია, თუმცა ისინი მაინც აღწერეს. წარმოიდგინეთ, მსგავს სცენებში "თავანკარა ქართულით" რომ მეტყველებდნენ პერსონაჟები, უფრო სწორად, ანტი-პერსონაჟები, რომელთა ენა, ჩვეულებრივ, სკაბრეზულია! ბუნებრივია, მწერალმა ისინი შესაბამისი, უხეში ჟარგონული, სკაბრეზული ენით ალაპარაკოს. სხვანაირად ტექსტი დამაჯერებელი ვერ იქნება. და პირიქით, ისევე როგრც უცნაური იქნება, თუ დახვეწილი და პასუხისმგებლობის მატარებელი პერსონაჟები რატომღაც სკაბრეზით ამეტყველდებიან. განსხვავებით მხატვრული სფეროსგან, მედიაში, რომელიც რეალურ სივრცეს მოიცავს, ბილწსიტყვაობის აუცილებლობას ვერ ვხედავ."

გიორგი ფანცულაია, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი"

"პირადად ჩემთვის ბილწსიტყვაობა არაა გამოხატვის მისაღები ფორმა. ვფიქრობ, ბილწი სიტყვების გამოყენება არ წარმოადგენს თავისუფლებას, უფრო მეტად საკუთარი უძლურების გამოხატულებაა, რაც შეეხება სკაბრეზულ გამოთქმებს ლიტერატურულ ტექსტებში, კინემატოგრაფში, ამ მხრივ ცენზურა აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან ლიტერატურა და ზოგადად, ხელოვნება მაშინაა შესაძლებელი, თუკი გამოხატვის თავისუფლება სრულად დაცულია. სკაბრეზული გამოთქმების გამოყენება ამ სფეროში ავტორის გემოვნებაზეა დამოკიდებული. მკითხველს, მსმენელს თუ მაყურებელს თავად უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება. საერთოდ კი, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას მორალის სახელით არსად, არასდროს სიკეთე არ მოუტანია. ასე მგონია, მიუხედავად იმისა, რომ პირად ურთიერთობებში ბილწსიტყვაობა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია."

იოანე მახარაძე, თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მეორე კურსის სტუდენტი:

"მე მაინც ვფიქრობ, რომ კანონის დონეზე არ უნდა აიკრძალოს, არანაირად არ შეიძლება, მწერალი შევზღუდოთ, მწერალმა უნდა წეროს როგორც მას სურს და რაც სურს, დანარჩენი უკვე მკითხველზეა დამოკიდებული. იმავეს ვიტყოდი რეჟისორებზე, უბრალოდ, ფილმების შემთხვევაში, უმჯობესი იქნება 16+ შეზღუდვა დაედოს და ღამის საათებში გავიდეს ეთერში, ეს არის ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც მივემხრობოდი, აკრძალვას არ ვემხრობი, თუ მთლად საშინელება არ ხდება შიგნით და არ არის კანონის დონეზე აკრძალული გარყვნილება. ბილწსიტყვაობაზე საჭიროა ასაკობრივი შეზღუდვა ფილმის შემთხვევაში, წიგნის კი, გაყიდვა 16+ ასაკის ადამიანებზე.

ნინო ტონია, ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

"ეს, ალბათ, რიტორიკული შეკითხვაა! ილია: "ენა საღმრთო რამ არის და კაცი მაგას ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს", მაგრამ შოთა: "კოკასა შიგან". არსებობს შინაგანი რჯული პოსტკონვენციური ადამიანებისათვის, კანონიც რომ არ კრძალავდეს, ადამიანი შინაგანმა ხმამ უნდა განკარგოს! "ულაგამოსა და უსადაოსი" კი რა მოგახსენოთ. ინფანტილური ცნობიერების ნაყოფია, მსკულტურა კი ამაზე "მუშაობს". პოსტმოდერნის მახასიათებელი რომ არის, ისიც უნდა ითქვას".

ლია ნიკურაძე, მეთორმეტე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

"როგორ შეიძლება მოგწონდეს?! შეურაცხმყოფელია და რა თქმა უნდა, მიუღებელი."

ქეთევან ფანცულაია, პედიატრი:

"კატეგორიულად მიუღებელია, არამარტო მედიასივრცეში, ლიტერატურაშიც და ტელესივრცეშიც."

ზაზა ადეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:

"ორიგინალური ვერ ვიქნები და ალბათ, ზღვრის დაცვაა აუცილებელი, არც გინდა თუ არა, კატეგორიული აკრძალვის მომხრე ვარ და არც ზედმეტი ენამყრალობის... ზომიერი სკაბრეზული სითამამე ზოგჯერ ტექსტს თუ გამოთქმას უფრო ჟღერადს, გასაგებს, ძარღვიანს და მიზნიანს ხდის.

თუმც ზომიერების დაცვასთან ერთად გასათვალისწინებელია ტექსტის პუბლიკაციის თუ პოზიციის დაფიქსირების დრო, სივრცე და აუდიტორია."

დავით შანიძე, ენათმეცნიერების მაგისტრი:

"ვფიქრობ, თანამედროვე სოციუმში ავტორებისგან უბრალოდ პოპულისტური გათვლაა, რომ უფრო წაკითხვადი და ნახვადი იყოს. მესმის, რომ ბევრ შემთხვევაში ავტორს პერსონაჟის რეალისტურობისათვის სჭირდება ამგვარი მეტყველება, მაგრამ ზომიერება უპირველეს ყოვლისა. შეიძლება მეტი რაოდენობით იყოს ლიტერატურაში, მაგრამ მინიმალური რაოდენობითაა საჭირო ტელესივრცესა და სოციალურ ქსელებში, იქიდან გამომდინარე, რომ აქ ბევრი მცირეწლოვანი სრულიად მოულოდნელად წააწყდება მისთვის "აკრძალულ" კონტენტს."

კახა ნადირაძე, სამოქალაქო განათლების პედაგოგი, არასამთავრობო ორგანიზაციის



ხელმძღვანელი:

"მოსაწონი, თავისთავად, ამაში არაფერია და ჩემეული შეფასება და ან მათი, ვინც ჩვენსავით ფიქრობს, სულაც არ არის კავშირში აღზრდის სტილთან, დაბადების ადგილთან და დროსთან, პოლიტიკურ გემოვნებასთან ან ფილოსოფიურ შეხედულებებთან. მავანი ცდილობს, რომ საქმე ასე წარმოაჩინოს, მაგრამ ასე არ არის და ამის მტკიცებულებად ის გამოდგება, რომ ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ და დავამტკიცოთ, თუ რასთან არის კავშირში ჩვენი კრიტიკულობა. მეცნიერება, კერძოდ, ფსიქოლოგია, რაც გახლავთ ემპირიული მეცნიერება, მტკიცებულებებით და არა მხოლოდ თეორიულად, ამბობს, რომ არსებობს ასეთი ცნება: არასასურველი და უარყოფითი ზეგავლენა. სწორედ ამ არასასურველი გავლენებისგან მთლიანად საზოგადოების და უფრო მეტად საზოგადოების უსათუოესი წევრების – ბავშვების დაცვას ვცდილობთ ამ კრიტიკულობით და სტილის უარყოფით.

ასევე მეცნიერებაა სამართალმცოდნეობაც და არ ვაპირებთ მისი პოსტულატების უგულვებელყოფას, დიახ, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, ცენზურა კანონით არის აკრძალული და შეუძლიათ, რაც და როგორც სურთ, ისე წერონ. მაგრამ ამავე კანონმდებლობით, თუ ნაწარმოები არის ზემოთ ხსენებული საფრთხის შემცველი, პროდუქტზე უნდა იქნას დატანილი შესაბამისი მინიშნება ვთქვათ, 18+, 14+ და ა.შ. რასაც შესაბამისი პროფესიული ექსპერტიზა განსაზღვრავს. შესაბამისად, ნაწარმოები ან ნებისმიერი პროდუქტი (ტელეგადაცემა თუ სხვა) ამოვარდება საყოველთაოობის სიიდან და ეს თავისთავად, ვერ ჩაითვლება ჩვეულებრივ ლიტერატურულ ნაწარმოებად (წიგნის შემთხვევაში) და ვერ იქნება საყოველთაოდ მიღებული, უწყინარი, არადამაზიანებელი და სასარგებლო ლიტერატურის რიგებში მყოფი."

რა საშიშროების შემცველია ქრონიკული სტრესი

სტრესის დროს ორგანიზმში გამომუშავდება სტრესის ჰორმონი – კორტიზოლი, რომლის სიჭარბე სახიფათოა ადამიანის განწყობისა და ჯანმრთელობისათვის. კერძოდ: იზრდება წონის მატების, რეპროდუქციული, სისხლძარღვებისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის პრობლემების განვითარების რისკი.

კორტიზოლი აქვეითებს ცილების სინთეზს, შესაბამისად, შაქრისა და ქოლესტერინის დონე მატულობს. შაქრის დონის შესამცირებლად ორგანიზმი იწყებს ინსულინის გამომუშავებას, რაც იწვევს წონის მატებას. ინსულინი ჰორმონია, რომელიც იმარაგებს და ალაგებს ცხიმს სხეულის სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით, სხეულის ზედა ნაწილში: მუცელი, მკერდი, ხელები და ფეხები. იმის გამო, რომ კორტიზოლის ფონზე ქვეითდება ცილოვანი ცვლა, ხელები და ფეხები რჩება უფრო გამხდარი.

ქრონიკული სტრესი ურტყამს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს და სქესობრივ ცხოვრებას. კორტიზოლი იყენებს ორგანიზმის მთელ ძალებს და აქვეითებს ტესტოსტერონის და ესტროგენის სინთეზს, რომლებიც პასუხისმგებელია არა მარტო რეპროდუქციულ ფუნქციაზე, არამედ, სისხლძარღვების ელასტიურობასა და არტერიულ წნევაზე. ამის შედეგად ქვეითდება ასევე პროგესტერონის დონეც. რომელიც არეგულირებს კმაყოფილების გრძნობასა და განწყობის სტაბილურობას.

ამერიკელმა ექიმებმა მოწამვლის სიმპტომებსა და ომიკრონს შორის კავშირი აღმოაჩინეს



ამერიკელმა ექიმებმა გამოარკვიეს, რომ გულისრევა, ღებინება, მადის დაკარგვა, შეიძლება კორონავირუსის ომიკრონ-შტამით დასნებოვნებაზე მიუთითებდეს. აღმოაჩინეს კავშირი მოწამვლის სიმპტომებსა და ომიკრონს შორის. სამეცნიერო ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორი, ამერიკელი მეცნიერი ბილ ადმაირი აღნიშნავს რამდენიმე პაციენტის შემთხვევას, რომლებსაც აღენიშნებოდათ მსგავსი სიმპტომები. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სიმპტომატიკა დამახასიათებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლილობასთან, მაგალითად, მოწამვლასთან, ისინი გამოუვლინდა პაციენტებს კორონავირუსის დროს.

ექიმები მათ, ვისაც საჭმლის მონელების პრობლემები აღენიშნებათ, ურჩევენ დამცავი პირბადის ტარებას, გარშემომყოფებთან კონტაქტის მინიმუმამდე შემცირებას და ექიმთან დროულ მიმართვას.

ლალი ჩხიკვაძე
"ოჯახის მკურნალი"

რჩეულთა შორის რჩეული

არ მინდა ვინმემ პლაგიატორობა დამწამოს, ამიტომ ვაღიარებ – წერილის სათაური შერჩეულია იურიდიული საზოგადოების სახელოვან მეცნიერთა და ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის, აგრეთვე ამ წერილის ადრესატის მეგობრების იმ წერილების სათაურებიდან, რომლებიც ეძღვნება ქ. სამტრედიაში დაბადებულს და გაზრდილს იურიდიულ მეცნიერების დოქტორს, პროფესორს და აკადემიკოსს ბატონ რომან შენგელიას.

მინდა ავღნიშნო, რომ ამ მხრივ არჩევანი მრავალმხრივი იყო, თუმცა არჩევანი საბოლოოდ წერილის ზემოთ აღნიშნულ სათაურზე შეჩერდა.

წერილის მიზანია მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, გააცნოს ღირსეული მამულიშვილის შთამბეჭდავი ბიოგრაფია, რათა მისი შრომისმოყვარეობა და დასახული მიზნისაკენ სწრაფვა მაგალითი გახდეს მათთვის. მართალია საგაზეთო წერილის ფორმატი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სრულად წარმოაჩინოს პიროვნების ღვაწლი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში ბატონი რომანის დამსახურების წარმოჩენა სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით სავსებით შესაძლებელია მისი საქმიანობის თეზისების სახით წარმოჩენითაც კი.

რომან შენგელია დაიბადა 1941 წლის 1 იანვარს ცნობილი პედაგოგის ოჯახში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა სამტრედიის №1 საშუალო სკოლა, 1959 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინების დიპლომით დაამთავრა 1964 წელს, მომდევნო წელს ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში სამოქალაქო სამართლის სპეციალობით, რომლის დამთავრების შემდეგ მივლინებული იქნა მოსკოვში დისერტაციაზე სამუშაოდ, 1968 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1985 წელს – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგ დაიკავა სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორის თანამდებობა. შემდეგ კი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამავე კათედრას. იგი ავტორია კერძო და საჯარო სამართლის საკითხებზე შექმნილი ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა, არის ოცამდე მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და წიგნის მეცნიერული რედაქტორი, მისი შრომები თარგმნილია რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. წაკითხული აქვს ლექციები ბერლინის, პარიზის, ვაშინგტონის და სხვა უნივერსიტეტებში. მას სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის საკონსტიტუციო ბაზის მომზადებასა და შექმნაში.

ბატონი რომანი წარმატებულ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებს ადმინისტრაციულ საქმიანობას – იგი სამჯერ იქნა არჩეული იურიდიული ფაკულტეტის დეკანად, ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან თავი წარმოაჩინა, როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, თანამშრომლების მიმართ მომთხოვნმა, მაგრამ სამართლიანმა ხელმძღვანელმა. მისი ეს პიროვნული და პროფესიული შტრიხები, ვფიქრობ, კარგად წარმოაჩინა დეკანატის მეთოდური საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ბატონ რომანისადმი მიძღვნილ ლექსში.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი, პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობისათვის ბატონი რომანი დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, მრავალი მედლით და სიგელით.

ბატონ რომანს ძალიან უყვარს თავისი მშობლიური ქალაქი, სკოლის თუ შემდეგ პერიოდში შეძენილი მეგობრები. თავის სულ ახლახან გამოცემულ წიგნში – "სამართლის სამსახურში" იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს და სიყვარულით საუბრობს თავის თანაკლასელზე, იურიდიულ ფაკულტეტზე მის კოლეგაზე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ, აწ უკვე გარდაცვლილ პროფესორ ზაურ წულაიაზე, რომელიც სავსებით სამართლიანად მიაჩნია იმ მეცნიერად, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში კრიმინოლოგიის, როგორც სამართლებრივი მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის დამკვიდრებასა და განვითარებაში. ამავე წიგნში იგი განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს თავის მშობლიურ – სამტრედიის №1 საშუალო სკოლაზე, დიდი ავტორიტეტის მქონე სკოლის დირექტორ ბატონ დავით გახოკიძეზე, კლასის დამრიგებელ ბატონ სერგო ერქვანიძეზე და ა. შ.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას – მეამაყება და ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ბატონი რომანი, რომელიც იურიდიული მეცნიერების ავტორიტეტების მიერ მიჩნეული არის XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ქართული (და არამარტო) იურიდიული მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენლად, სისტემატურად მიგზავნის ყველა იურისტისათვის აუცილებელ თავის ფუნდამენტალურ ნაშრომს გულთბილი წარწერებით, რომლებშიც გამოხატავს თავის პოზიტიურ შეფასებებს ჩემს, როგორც თავის დროზე პრაქტიკოს იურისტზე. ეს ის ნაშრომებია, რომლებიც ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წამყვანი დარგის – სამოქალაქო სამართლის სიღრმისეულ შესწავლაში, ხოლო პრაქტიკოს იურისტებს, ძირითადად მოსამართლეებს, მათ წარმოებაში არსებულ ურთულეს საქმეებზე კანონიერი გადაწყვეტილებების მიღებაში.

2022 წლის 1 იანვარს ბატონ რომანს 81 წელი შეუსრულდა, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის შესანიშნავ ოჯახთან ერთად და იურიდიული მეცნიერების შემდგომ განვითარება-სრულყოფისათვის კვლავაც ნაყოფიერ მუშაობას.

ოთარ სტურუა

ვეტერანის ფიქრები!

თავის დროზე მე არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობა მეკავა. შესაბამისად კარგად ვიცი სამტრედიაში არსებული ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობა. იმჟამად სამტრედიაში 24 მსხვილი საწარმო-დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის სამტრედიის აბრეშუმ-ძაფსახვევსაგრეხი ფაბრიკა, რომელმაც მუშაობა ჯერ კიდევ 1902 წლიდან დაიწყო.

სამტრედიაში, გურიაში, იმერეთში, მთლიანად დასავლეთ საქართველოში ამზადებდნენ აბრეშუმის პარკს. მახსოვს, ჩემი ბიძაშვილი აწ გარდაცლილი შუქრი კაშია, რომელიც ფაბრიკაში მომარაგების უფროსად მუშაობდა კვირაში ერთხელ მიემგზავრებოდა ყაზახეთში და იქიდან აგზავნიდა დამატებით აბრეშუმის პარკს გადასამუშავებლად. სოფელ ბაშში, სადაც ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი, სახლში ჩელტებზე დაფენილი იყო აბრეშუმის ჭია, როემლსაც პარკი ამოჰყავდა. სოფელში თითქმის ყველა ოჯახი აბრეშუმის პარკს აბარებდა სამტრედიის რაიაბრეშუმს 80-90 კგ. და მეტის ფარგლებში, 1 კგ აბრეშუმის პარკში სახელმწიფო 10 მანეთს უხდიდა გლეხს, რაც საკმაოდ სოლიდური თანხა იყო ოჯახის საჭიროებისათვის.

მშრომელი გლეხი საკონსერვო ქარხანას ტონობით აბარებდა მსხალს, ტყემალს, ლედვს, კომბოსტოს, დაფნის ფოთოლს, ზრდიდნენ საქონელს, ღორს, რაც კიდევ დამატებითი შემოსავალი იყო ოჯახისათვის. სოფელსა და ქალაქში ყველა დასაქმებული იყო. ის კი არა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდილ ახალგაზრდებს სთავაზობდნენ სამუშაო ადგილს. სავალდებულო იყო, რომ ახალგაზრდა შრომის ფერხულში ჩამბულიყო, რომ უსაქმოდ არ დარჩენილიყო. სახელმწიფო ითვალსიწინებდა, რომ შრომაში ჩამბული ადამიანი ურიგო სქციელს არ ჩაიდენდა.

მოწონებას იმსახურებს საქართველოს პრეზიდენტის ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მოწოდება ერის გამთლიანების შესახებ, მან თავისთან იხმო ქვეყნის პოლიტიკოსები, მოისმინა მათი მოსაზრებები, სურს რომ პოლარიზაცია და ურთიერთდაპირისპირება დაამარცხოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ემოციების განელება ვერ ხერხდება და თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანა მნიშვნელოვნად დაზარალდება. ვფიქრობ ამის ძირითადი მიზეზი არის უმუშევრობა ხალხის დაუსაქმებლობა. მოსახლეობა სამუშაოდ საზღვარგარეთ გარბის, რათა ოჯახი გამოკვებოს, ჩვენთან კი ათასი ჯურის ხალხი ჩამოდის, ფეხს იკიდებს და არ უნდა ამ წალკოტი ქვეყნიდან წასვლა, სამარცხვინოა, როცა ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ძალა ურთიერთდაპირისპირებითაა დაკავებული ნაცვლად იმისა, რომ იფიქრონ, როგორ გამოიყვანონ ქვეყანა ამ ჩიხური მდგომარეობიდან. ვისურვებდი, რომ ქვეყნის პირველმა პირებმა მოუსმინონ ჩვენს სახელოვან მეცნიერებს, კულტურის ღვაწლმოსილ მუშაკებს, გავიდნენ ხალხში და მათი გულისტკივილი გაიზიარონ.

ავთანდილ კაშია
შს სამტრედიის ვეტერანების თავმჯდომარე,
თადარიგის ვიცე პოლკოვნიკი

წაუკითხეთ პატარებს

პოეტსა და პედაგოგს ილია ლეკვეიშვილს მკითხველთა წინაშე ნამდვილად არ სჭირდება წარდგენა. გვესიამოვნა ამას წინათ, ერთ-ერთ ღონისძიებაზე მისი ლექსები რომ წაიკითხეს პატარებმა.

წლევანდელმა ზამთარმა ნამდვილად დაგვამახსოვრა თავი დიდთოვლობითა და ყინვებით. განსაკუთრებით პატარები გაახარა თოვლმა. პატარებზე შეყვარებულმა პოეტმაც გრძელი ღამეები ათია და მათ ლამაზი სტრიქონები აჩუქა.

ილია ლეკვეიშვილის რამდენიმე ახალ საბავშვო ლექსს ვთავაზობთ მკითხველს, იმედია, ისინი მალე გაიკაფავენ ციცქნა გოგო-ბიჭების გულებისაკენ მიმავალ გზას.

ვისარგებლებ შემთხვევით, მოახლოებულ დაბადების დღეს ვულოცავთ ნორჩებზე უზომოდ შეყვარებულ პოეტს. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ მას.

ახლა კი, ახლა დაპირებული ახალი ლექსები.

ლევან გაგეჩავა

თოვლის ბაბუა ფარნა

რა ფაფუკი თოვლიაო,
რა ფუმფულა, რა ნაზი,
სიხარულით ცად ფრენენ,
რამაზი და თამაზი.
ტყუპისცალ ძმებს და ცა ჰყავთ,
(ბაბუაა ხარაზი),
თუ რამ კარგი ექნებათ,
ვისია და... ანასი!
ბებო ხელთათმანებით,
(მოთხოვნაა ანასი!)
თოვლს აგროვებს, სურთ დადგან
ასლი ბაბუ ფარნასი.
დიდი თოვლის ბაბუა,
მოხდენილი, ლამაზი,
იქვე დატრიალებენ
რამაზი და თამაზი.
ხალისობენ ტყუპები,
თუმც შიში აქვთ ანასი,
შინ არ შეგვატანინოსო
თოვლის ბაბუ ფარნასი.

პატარა მერიკოს ფიქრები

მას მერე, რაც რომ გიხილეთ
და უფლის გზას დავადექი,
სიყვარულია ამ ქვეყნად
ჩემი მხსნელი და თავდები.
თუმცა ჯერ ბაღში დავდივარ,
გამოვიჩინე ნიჭები,
რუსთაველზე რომ გავდივარ,
თვალს მაყოლებენ ბიჭები.
ეგღა მაკლია ლოდინით
ამოვიღამო თვალები,
ორ ბიჭს ახლაც კი მოვწონვარ,
მალე ათს შევუყვარდები.
აგერა ნახავთ, სულ მალე,
რომც ამიჭედონ კარები,
დედას და მამას ვინ კითხავს,
ფანჯრიდან გავიპარები.

განგებამ შეიწყალოსა

ძველ დროში თურმე გოგონებს,
მშვენიერთა და კაოსანთ,
სხვა ბევრ რამესთან მზითევში
ატანდნენ "ვეფხისტყაოსანს".
ამის გამგონე გიორგის
ღვთით მოევლინა და როცა,
დაეწყო წერა ბატისფრით
ღმერთი მის მარჯვენს
დალოცავს.
"იყო, არაბეთს, როსტევან..."
ეგ როდი იყო ამო ცდა,
ეტრატზე გადაეტანა,
სიტყვა, რაც ბაგეს ამოცდა.
გამოსაცდელად თუმც გიოს,
არც მცირე დრო აქვს წყაროსთან
ჩამოჯდა წერად ანდერძის,
განგებამ შეიწყალოსა.
მჯერა გიო არ დააკლებს,
სიყვარულისა გამო ცდას,
თქვენ როგორ ფიქრობთ, ბავშვებო,
ჩააბარებს კი, გამოცდას?!

ბარეთ გამო ზაქარია

დეკემბერი, იანვარი,
თებერვალიც ზამთარია,
მინდვრებს, ხეებს, ორღობეებს
თოვლის ქურქი აფარიათ.
ცოტაც ყინავს, თან ქარია,
იმიტომ რომ ზამთარია,
საცოდავი მურიკელა,
სახლის ყურეს აფარვია.
თოვლის პაპა მაინც დავდგით,
რაც მართალი, მართალია,
მაგრამ რომ არ გაგვიცივდეს,
თავზე ქუდი აფარია.
თუმც ჩემთვის, ყინვაგამძლე
ბიჭისთვის ეს რა ქარია,
ოთახში რომ შეყუჟულხარ,
გარეთ გამო ზაქარია!

ვედრება მზისადმი

ზამთარია, თოვს და ბუქავს,
გვაციებს და გვაკანკალებს,
მიფიცხებულები ბუხარს,
ვგმანავთ ფანჯრებსა და კარებს.
ზაფხულში რომ გვწვავდი მზეო,
სულის მოთქმა რომ გვიჭირდა,
ზამთარში რა მოგვიდა,
ასეთი რა გაგიჭირდა.
თუ ხათრი გაქვს, მადლი ქენი,
გეხვეწებით მეც და დათოც,
ზაფხულში ხომ ისეც თბილა,
გთხოვთ ზამთარში რომ გაგვათბო.

ილია ლეკვეიშვილი

მიოდრაგ დრაჟა მილანოვიჩი

გადაფრენა

– ამინდი იცვლება, ფრთები გაისწორეთ, რიგზე გაითვალეთ და მოეწყვეთ ასაფრენად!

– გაუმარჯოს წინამძღოლს! – აჟრიალდა ფრინველების უზარმაზარი გუნდი.

თუმცა ფრთოსნების ერთი ნაწილი გუნდს გამოეყო, განზე გადგა და ნისკარტით მიწის ჩხრეკა დაიწყო.

გაკვირვებულმა წინამძღოლმა განდგომილებს მრისხანედ მოავლო თვალი და საშინელი ხმით შესძახა:

– რას ბედავთ, უბედურებო? სიკვდილი მოგენატრათ? ხომ არ გინდათ ახლავე ყველას ბუმბული გაგაცალოთ!

– ნუ ცხარობ, წინამძღოლო! – გაუბედა შეპასუხება ერთმა მოწიფულმა ჩიტმა, არ გეწყინოს, მაგრამ შენ გზა არ იცი, მარშრუტის მიმართულებას სწორად ვერ განსაზღვრავ. ეს კი შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს.

– ჩვენ სულელები არა ვართ, ბელადო, – უფრო მკვახედ გააგრძელა ლაპარაკი მეორე ჩიტმა, – გამოსავალს მოვძებნით, ახალ წინამძღოლს ავირჩევთ და მივხედავთ თავს, სანამ ყველა დავიღუპებოდეთ.

წინამძღოლმა რისხვა დაიოკა, მზერა ცას მიაპყრო, შემდეგ კოლონებად დაწყობილ ფრინველების რაზმებს გადახედა და გამამხნევებელი ყივილით ცაში აიჭრა. იმავე წამს ათასობით ცის ბინადარი ფრთების ძლიერი ქნევით მოწყდა მიწას და კვალში ჩაუდგა წინამძღოლს. ცა აჭრელდა გადამფრენი ფრინველებით. გეზი სამხრეთისაკენ აიღეს.

რამდენი მიაღწევს ბოლომდე – ღმერთმა იცის!

დარჩენილი ფრინველები ერთ უზარმაზარ ხეზე შეგროვდნენ და მისი ყველა ტოტი დაიკავეს. დასხდნენ და დაიწყეს ფიქრი ვინ იქნებოდა ახალი წინამძღოლი?!

ხის ძირას, ეკალბარდებში ერთადერთი ჩიტი იჯდა და ფოთლებში ფათურობდა.

– დობილო, შენ რომელი რაზმიდან ხარ? – ჰკითხა პატარა ჩიტმა ყველაზე ქვედა ტოტიდან.

– არცერთიდან! – უპასუხა ჩიტმა ეკლებიდან.

– როგორ, არცერთ რაზმში არ შედიხარ?

– არა, მე დამოუკიდებელი ვარ! არ მიყვარს როცა რაიმეს მიბრძანებენ. "ეს სულელია ვიდაცაა" – გაიფიქრა ჩიტებმა ტოტებზე.

– თვენ, იქნებ, გიჟი გგონივართ! – ასძახა ჩიტმა ეკალბარდიდან – მე დროზე მოვაგვარე საქმე, დამოუკიდებელი გავხდი და არაფერში მჭირდება ეს თქვენი გაუთავებელი ხანგრძლივი გადაფრენები. მაგრამ თქვენ ამას ვერასოდეს მიხვდებით.

– თუ ასეთი ჭკვიანი ხარ, იქნებ ჩვენი წინამძღოლი გამხდარიყავი? – აჟივჟივდნენ ჩიტები ტოტებზე.

– თქვენი წინამძღოლი? კეთილი, გავხდები თუ ასე გინდათ, მაგრამ ჯერ თითოეულმა თქვენგანმა თითო მატლი უნდა მომიტანოთ.

გაფრინდნენ ჩიტები ოთხივე მხარეს და მოიტანეს მატლები. შეფრინდნენ ისევ ტოტებზე და აჟივლდნენ: "გაუმარჯოს წინამძღოლს".

– მოიცა, ნუ ჩქარობთ, თუ მართლა გინდათ, რომ თქვენი წინამძღოლი გავხდე კიდევ ორორი მატლი უნდა მომიტანოთ.

ჩიტებმა ეს განკარგულებაც შეასრულეს.

– კარგი, გავხდები წინამძღოლი, როგორც კი ამინდი გაუმჯობესდება! ფრინველები მთელი ხმით აყაყანდნენ, ყველანი თავისებურ ხმაზე. სადღაც მონადირის თოფის ხმა გაისმა და ჰაერში ფრინველის ბუმბული გაიფანტა.

მოულოდნელად ერთმა ლამაზმა ჭრელმა ჩიტმა წამოიძახა:

- ეს ეკალბარდის ბინადარი მართლა სულელი ხომ არ არის? – და მაშინვე რატომღაც ფოთლებში მიიმალა.

– კი! არა! კი! არა! – იყო პასუხები. ამით საკითხი ვერ გადაწყდა. – კარგი – შეაჯამა კამათი ერთმა ბებერმა ფრთოსანმა – დავაყენოთ საკითხი კენჭისყრაზე. კენჭს ვუყრით ფრთებით: მოკლე ფრთა- სულელია, გრძელი – არა.

სანამ ხმის მიცემის შედეგებს ითვლიდნენ და ფრთებს ზომების მიხედვით აწყობდნენ ყველა საშინელ ტკივილს განიცდიდა ამოპუტული ფრთების გამო.

ამ დროს ხის ძირში მონადირის ძაღლმა დაიყეფა და კვლავ გავარდა თოფი. გულგახეთქილი ფრინველები ერთბაშად წამოიშალნენ და მათი ფრთების უაზრო ქნევით ისეთი ქარბორბალა ატყდა, რომ დასათვლელად გამზადებული ფრთები ხიდან გადმოცვივდა და ჰაერში გაიფანტა. არჩევნები ჩაიშალა.

დარჩა წინამძღოლი აურჩეველი, მაგრამ მას ამის შესახებ არც გაუგია – მშვიდად იჯდა მაყვლოვანში და განაგრძობდა ფრინველების მოტანილი ნუგბარის დეგუსტირებას.

– არა, ეს ჩიტი სულელი ნამდვილად არ არის. მას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, ერთი ბუმბულიც არ ჩამოვარდნია. ჩვენ კი მისი არჩევისთვის თავს ვიკლავთ, ფრთები დავიპუტეთ – ვერ ფარავდნენ აღშფოთებას ფრინველები.

– ჩვენ გადამფრენი ფრინველები ვართ. ზამთარი კარს მოგვადგა, დროა, დავიძრათ!

– მორჩით კრიახს! მე თქვენი წინამძღოლი ვარ! მე გადავწყვეტ! – ამოძახა ხის ძირიდან საკმაოდ მოზრდილმა მახინჯმა ჩიტმა.

– შენ კიდევ ვინ ხარ? – რა ჩიტი ხარ? – გაიკვირვეს ფრინველებმა.

– მე ვარ, მე, ნარეკლიდან!

– კი, მაგრამ შენ ხომ პატარა იყავი...

- მე არ ვიყავი პატარა. ხე იყო ძალიან მაღალი. თქვენ ზევიდან, თანაც შორიდან მიყურებდით, და, ალბათ, მოგეჩვენათ.

გაოგნებულმა ფრინველებმა ფრთები აიჩეჩეს და ისე გადახედეს ერთმანეთს, თითქოს კითხულობდნენ: "რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო?" ცოტა ხნის პაუზის შემდეგ იძულებით უპასუხეს:

– კარგი, კარგი, ასე იყოს! ოღონდ დროზე წავიდეთ!

– სად?

– სამხრეთით, მზისკენ...

– არა, რას ამბობთ! ეს დაივიწყეთ! თქვენ აქ ნარეკალში და მაყვლოვანში გამოიზამთრეთ. მე კი ხეზე ვიცხოვრებ. ახლა კი მიდით, დროზე ჭამეთ თქვენი მოტანილი ჭიაღუა და ჭკუით იყავით! დროზე-მეთქი, რას მომშტერებიხართ სულელებივით!

სხვა რა გზა ჰქონდათ, დაშინებული და დამშეული ფრთოსნები მოედვნენ ბალახოვან ველს, მაგრამ ვერც ერთი მატლი ან ჭია იქ ვერ იპოვეს. დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა, სიცივემ წამოკრა.

– ყველა დავიღუპებით! – თქვა ერთმა ასაკოვანმა ნაცრისფერმა ჩიტმა.

– წინამძღოლიც ხომ დაიღუპება! – ბოროტი სიხარული ამოაყოლა ხმას ყველაზე ახალგაზრდამ.

წინამძღოლს უზარმაზარი ხის ტანში მოხერხებული, თბილი ფუღურო ელოდებოდა, ბუმბულით მოფენილი და ჭიაღუების დიდი მარაგით უზრუნველყოფილი.

– არც ერთი წინამძღოლი არ უქნია ღმერთს! ყველა საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავს. ჩვენ კი ზოგი ეკალბარდებში მიგვათრევს გასაწირად და ზოგიც ოკეანის გაღმა გადასაკარგად – უთხრა მრავალჭირნახულ ფრინველებს ერთმა, საუკუნეს კარგა ხნის გადაცილებულმა ყვავმა.

სერბულიდან თარგმნა
თემურ პირველმა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყება რაიონის ყოფილი გამგებლის, ღირსეული სამტრედიელის

მერაბ სტურუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რკინიგზის ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ელექტროსამონტაჟო სამმართველოს დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ელექტროსამონტაჟო სამმართველოს უფროსის მოადგილის, ბატონი

მერაბ სტურუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

გაზეთ "'სამტრედიის მაცნეს" რედაქცია გულისტკივილით თანაუგრძნობს ოჯახს

მერაბ სტურუას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი თანაუგრძნობს ოჯახს ბატონი

მერაბ სტურუას

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი ოჯახით უდიდეს გულისტკივილს გამოთქვამს ძირძველი სამტრედიელის, ღირსეული ოჯახის ტრადიციების გამგრძელებლის, საუკეთესო მეუღლის, მამისა და მეგობრის, სამტრედიის რაიონის ყოფილი გამგებლის,

მერაბ სტურუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალს.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს სტურუების ოჯახს ბატონი

მერაბ სტურუას

გარდაცვალების გამო.

თენგო ცაგურია ოჯახით თანაუგრძნობს სტურუების ოჯახს

მერაბ სტურუას

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ ჩიქოვანი ოჯახით მწუხარებით იუწყება ახლო მეგობრის,

მერაბ სტურუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს სტურუების ოჯახს.

მაყვალა ჩირგაძე თანაუგრძნობს სტურუების ოჯახს ბატონი

მერაბ სტურუას

გარდაცვალების გამო.

ოთარ სტურუა ოჯახით თანაუგრძნობს სტურუების ოჯახს ბატონი

მერაბ სტურუას

გადაცვალების გამო.

ბორის ფოცხვერაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის შვილის და უმცროსი მეგობრის

მერაბ სტურუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ნათელა, დალი, მარინა და ავთანდილ გელეიშვილები მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი მამიდაშვილის

ლამარა გელოვანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალს.

მაყვალა ჩირგაძე, ნინო ნანიტაშვილი, ნატალია კოპალეიშვილი და ქეთევან ჭელიძე თანაუგრძნობენ ნათელა გელეიშვილს ქალბატონი

ლამარა გელოვანის

გარდაცვალების გამო.

სიჩუმით ნათქვამი...
ვაჟა ტერელაძის ხსოვნას



გასული საუკუნის შავ-ბნელ ხანას დაემთხვა მისი დაბადება. მამა, ცნობილი იურისტი, შალვა ტერელაძე რეპრესიებს ემსხვერპლა. დედამ ითავა წვრილ-შვილის აღზრდა, აღზარდა კიდეც, "საქვეყნოდ საჩინონი".

ბევრ რაიმეში იყო პირველი, მოყვასისა და მეგობრის მცნობი, საოცრად უბრალო და თავმდაბალი კაცი, ბატონი ვაჟა ტერელაძე, ნახევარი საუკუნე ჩუმად, უპრეტენზიოდ რომ ემსახურა მედიცინის ერთ-ერთ ურთულეს მიმართულებას.

ახსოვთ სამტრედიელებს დახვეწილი იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული, კვალიფიციური ექიმი, ჩინებული ოჯახის ბრწყინვალე თავკაცი, ახსოვთ და ხშირად ჰყვებიან მის მიერ ნაკეთებ სიკეთეზე.

მის გარეშე გრძელდება სიცოცხლე ტერელაძეთა კერაზე. შვილები, შვილიშვილები, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არიან ჩართულები.

"მუშმალების ტყვეობაში" მყოფი მისი ერთგული მეუღლე კი, ერთგულ მეციხოვნესავით დარაჯობს ქმრისეულ კერას და ასე, შესანიშნავად მიაგებს პატივს მის ნათელ ხსოვნას, არცთუ იშვიათად ქაღალდზე გადმოაქვს გულს მოძალებული სევდა.

ბატონი ვაჟა იუბილარი იქნებოდა ამ დღეებში, საოცარი სითბოთი და უკიდეგანო მადლობით მიიღებდა ჩვენს მოკრძალებულ მილოცვას, მაგრამ...

ჩუმად იცხოვრა, ჩუმადვე წავიდა, ამ სიჩუმით კი პროტესტი გამოხატა ბოროტებისადმი და მადლობაც გვითხრა, მისებურად, მხოლოდ მისებურად, თან საოცრად ორიგინალურად.

ნათელში იყოს ნათელი სულის მართალი კაცი.

ლევან გაბეჩავა

ყველა მის ჯვარს ატარებს...

წლების წინ რკინიგზის სამტრედიის ვაგზალში კაცი მოიყინა, მარტოხელა კაცი, კარატელი იყო გვარად, გორიდან, ბახუსი უყვარდა ძლიერ. რამდენიმე ხნის წინ იგივე ბედი ეწია კიდევ ერთ სამტრედიელს, ზამთარ-ზაფხულ გაუპარსავი, საკათედრო ტაძრის წინ მდგარ ძელსკამზე, რომელიც მისთვის ხშირად თბილ ლოგინსაც წარმოადგენდა, ვხვდებოდით უმეტესად ბახუსშეყრილს. დახმარებას ითხოვდა, მოწყალების გამღებთ კი, ლოცვითა და მადლობით ისტუმრებდა. ყოველ დილით ტაძარში შესვლისას მას უნდა მივსალმებოდით, შევხვედროდით და ამდენად გახდა იგი ყველასთვის ახლობელი.

იანვრის მიწურულს მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ. ცარიელი დგას ტაძრის წინ ქვის ძელსკამი. ორიოდე თვეში ის ვეებერთელა ვერხვიც შეიფოთლება, რომლის ტოტებქვეშაც ზაფხულის ხვატში სულს იბრუნებდა. მისი გარდაცვალების შესახებ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ლეჟავას ვკითხეთ, საქმის კურსში თუ ხართ-თქო და, წინ მაგიდაზე დოკუმენტები დამიდო – ადგილობრივ მთავრობას წილი გაუღია მისი დაკრძალვისათვის, ყოჩაღ!!!

ისიც ხომ ჩვენი სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი იყო, ეგ არის მხოლოდ, ყველა მის ჯვარს ატარებს ხოლმე.

31 იანვარს დილით ეკლესიის წინ ძელსკამისაკენ გამექცა მზერა, იქვე დავტოვე მისი წილი – 20 თეთრი...

აცხონოს უფალმა.

ლევან გაბეჩავა



მერაბ პაქსაშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ "სამტრედიას" წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ანსამბლის ხელმძღვანელის, მრავალი თაობის აღმზრდელის, ბატონ

მერაბ პაქსაშვილის

გარდაცვალების გამო, რომელიც, გამოირჩეოდა თავისი საქმის უნაგარო სიყვარულით, პროფესიონალიზმით, პატრიოტიზმით, კეთილშობილებითა და პატიოსნებით. მან დიდი წვლილი შეიტანა მრავალი თაობის კარიერულ წინსვლაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული. დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

მერაბ მასწავლებელო, საკუთარი ცხოვრებით ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგით თაობების გულში. თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ანსამბლი "სამტრედია"

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს, ბატონი

მერაბ პაქსაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზაურ ბოჭორიშვილის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა შესანიშნავი მეოჯახის, მეგობრისა და მეზობლის გარდაცვალებიდან. ჯერაც არ გაგვნელებია მისი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება.

გულისტკივილით, მწუხარებით გიგონებთ, ჩვენო ზაურ და უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

უახლოესი მეზობლები

ბეჯან გოგია და თამაზ ნიკურაძე თანაუგრძნობენ რამაზ დუნდუას

დედის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი გულისტკივილს გამოთქვამს

ზვიად დემურის ძე ღაღანიძის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს ანჟელა ბუაძეს, მეუღლის

გოგი ნიკოლაძის

გარდაცვალების გამო.

გია ბოჭორიშვილი, ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობენ ანჟელა ბუაძეს მეუღლის

გოგი ნიკოლაძის

გარდაცვალების გამო.

მერაბ არჩვაძე თანაუგრძნობს ნინო ჯვარშეიშვილს

დედის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს ნინო ჯვარშეიშვილს

დედის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს რუსუდან გუძუაძეს მეუღლის

ალექსანდრე შენგელიას

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე თანაუგრძნობენ რუსუდან გუძუაძეს მეუღლის

ალექსანდრე (კუსო) შენგელიას

გარდაცვალების გამო.

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ თინათინ მგელაძეს და გოდერძი დუნდუას, **დედამთილისა და დედის**

გარდაცვალების გამო.

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობენ მაია ხუჭუას, მამუკა და ირაკლი ბახტაძეებს უსაყვარლესი მამის, სიმამრის და ბაბუის ბატონი

ვაჟა ხუჭუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მაია ხუჭუას და მამუკა ბახტაძეს მამისა და სიმამრის, ბატონი

ვაჟა ხუჭუას

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე თანაუგრძნობენ მაია ხუჭუას მამის

ვაჟა ხუჭუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნე' გულისტკივილს გამოთქვამს საქენერგოს ყოფილი დირექტორის, ბატონ

ტარიელ კიკაბიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რუსთავის თასზე

რუსთავში გამართულ ტიტულოვან შეჯიბრზე სამტრედიელმა კინგბოქსინგელებმა წარმატებით იასპარეზეს. ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილების მფლობელები ბაბილინა კიკაჩეიშვილი და ზვიად კვანჭიანი გახდნენ, მეორე ადგილზე ლუკა კიკაჩეიშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილებს ალეკო ხუჯაძე, ავთანდილ კოპალეიშვილი, ლუკა კოპალეიშვილი, ლექსო ნათენაძე, საბა ერქვანიძე, ნიკა ლაშხია, სანდრო ჩიტეიშვილი დასჯერდნენ, რომლებიც შესაბამისი პრიზებითა და ჯილდოებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ შინ.

კიდევ ერთ წარმატებას ვულოცავთ სამტრედიელ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელს კობა კიკაჩეიშვილს და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ.

ლევან გაბეჩავა



ჩვენებურები, ტყუპები მანუჩარ, ანზორ და ავთანდილ კაჭახიძეები

ვულოცავთ!

ქალბატონ ცისანა კოპალეიშვილს!

კიდევ ერთ წელი ჩამოიმარცვლა ღირსეული ქალბატონის ცხოვრების კრიალოსანზე, ათობით წელი ცეროდენა გოგო-ბიჭების აღზრდასა და დაფრთიანებას რომ მოახმარა.

ვხარობთ, სოლიდური ასაკის მიუხედავად კვლავ მხნედ, ხალისიანად რომ გამოიყურება.

დაბადების დღესა და გაზაფხულს კარს მომდგარ დღესასწაულებს გილოცავთ, ღვაწლმოსილო ქალბატონო.

იდღეგრძელეთ.

ლევან გაბეჩავა

ნინიკო რევიშვილს!

დაბადების დღეს, 9 წლის შესრულებას გილოცავთ ჩვენო საყვარელო, იხარე და იდღეგრძელე, შენი კარგი ქალობით გვეამაყოს შენს ახლობლებს. ძალიან, ძალიან გვიყვარხართ შენ და შენი დაიკო.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

დოდო ბეგო

ნოდარ აკაკის ძე სტურუას!

დაბადების დღეს გილოცავთ. ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ ოჯახთან ერთად.

უფალმა გაგაძლიეროს ჩვენო ნოდარ!

მერაბ არჩვაძე, ლევან გაბეჩავა

გია მეიშვილს!

უდიდესი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით დაბადების დღეს გილოცავთ, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და უამრავ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ ბორის კახიანს!

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის უხუცეს კორესპონდენტსა და ერთგულ მეგობარს. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ, იდღეგრძელეთ თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით "სამტრედიის მაცნე"

მადლობა ექიმს!

საუკეთესო ექიმს, თამარ კალაძეს ვუხდით უდიდეს მადლობას ჩვენთვის უმძიმეს დღეებში, კოვიდპანდემიის მკურნალობისას გამოჩენილი გულისხმიერების გამო. ვუსურვებ ჩვენს მუნიციპალიტეტს, ბევრი ჰყოლოდეს მისებრი პროფესიონალი და ღვთისნიერი ექიმი!

რეზო თევზაძე და მზია შაორშაძე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა